ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 30 ივლისი, 2019 | №178 (8132) | ფასი: 60 თეთრი

## ვისი დავალებით ითხოვს რაინდი ვასაძე მედიის გაკონტროლებას



გვ.3

19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# კახა კოჟორიძე: „ოქრუაშვილის დაპატიმრება მძიმე ტვირთია სასამართლოსთვის“

სხდომა რომ არ დაეხურა მოსამართლეს, ნათლად გამოჩნდებოდა ამ საქმის პოლიტიკური მოტივაცია



გვ.3

## ლევან მურუსიძე: „აბსურდია, რომ ივანიშვილს სამხარაულის დასკვნის საკითხზე შევხვდი“



გვ.2

## მამუკა ბახტაძეს მაია ცქიტიშვილი შეცვლის



გვ.5

მთავრობაში საკადრო ცვლილებებისთვის ემზადებიან

## კოტე კემულარია: „ოქრუაშვილის საქმეზე ივანიშვილმა მურუსიძე დაიბარა“



გვ.2

## ირაკლი ოქრუაშვილი ბიძინა ივანიშვილის პირადი მძევალი?



გვ.4

## „ოპოზიციის ლიდერების დაჭერები სიტუაციას ვერ განმუხტავს“



გვ.5

„ოცნება“ ბიზნესმენების დატერორებაზე გადავიდა“

## ფიქრია ჩიხრაძე: „რუსთავი 2-ის მფლობელი ის გახდება, ვინც ივანიშვილს გაურიგდება“



გვ.4

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ვითიბი ბანკი“ კგბ-სა და ღლევანდელი ფსბ-ს კონტროლის ქვეშაა“



გვ.6

## „ქართული ოცნების“ ნაციონალიზაცია ყოველდღე მიმდინარეობს“



გვ.2

## სუსის წარმომადგენლები ევროპოლში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ




გვ.6

ISSN 1987-9385

6 კრემლის სკანდალური მარცხი იტალიაში

7 შაკო ტყემალაძის და გუგა კოღუას მკვლელობის საქმე დაიხურება?

7 ბათუმში ლიფტი ჩავარდა, 4 ადამიანი დაშავდა

11 რა არის „სახელისუფლებო ძალაუფლების ანატომია“

# „ქართული ოცნების“ ნაციონალიზაცია ყოველდღე მიმდინარეობს“

## გედევან ფოფხაძე: „ხაზარაძეს ექცევიან ისე, როგორც 2011 წელს ნაციონალები ივანიშვილს ექცეოდნენ“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას? რამდენად იფიქრებდით, რომ 2012 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გამარჯვება მოიპოვა, შეიძლებოდა მოვლენები ასე განვითარებულიყო?***

– მაშინ ამაზე არავინ ფიქრობს. როდესაც „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, არც მაშინ არავინ დაუშვებდა და იფიქრებდა, რომ მიხეილ სააკაშვილი ერთ მშვენიერ დღეს მოძალადედ ჩამოყალიბდებოდა, ციხეები პატიმრებით გაივსებოდა, გვეყოლებოდნენ პოლიტპატიმრები.

2012 წელს საერთო სახალხო გამარჯვება მოვიპოვეთ და მაშინ ბიძინა ივანიშვილი ლიდერი იყო და ამის უარყოფა შეუძლებელია. მაშინ ეს გამარჯვება ივანიშვილმა ხალხს აჩუქა.

დღეს ყველაზე სამწუხარო, რაც ხდება, არის ის, რომ მაშინდელი პრინციპებიდან და ღირებულებებიდან გადახვევა მოხდა. დაიმსხვრა ის ფასეულობები, რომლებისაც გვჯეროდა. მაინც ყველაზე რთული და ჩემთვის მიუღებელი არის „ქართული ოცნების“ ნაციონალიზაცია, რასაც ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს.

იგივე ძალოვნები, იგივე პოლიცია, იგივე უშიშროება, იგივე ხალხი. ეს არის ფაქტი. იგივე მეთოდები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იყო მიღებული და დამკვიდრებული, მათი გადმოღება მოხდა, პირდაპირ გადმოვიდა.



***– ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეები, ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება თქვენში კითხვებს იწვევს?***

– არანაირი კითხვები არ მაქვს. პირადად ჩემთვის პოლიტიკოსი ირაკლი ოქრუაშვილი მიუღებელია. მე მისი ღირებულებების გამზიარებელი ადამიანი ვერასდროს ვიქნები, მაგრამ ის, რაც ვიხილეთ ოქრუაშვილთან მიმართებით, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ცხადია, ეს მიუღებელია.

რაც შეეხება ხაზარაძე-ჯაფარიძეს, იგივეს ვიტყვი მათთან მიმართებითაც. რასაკვირველია, აქ ორმაგი სტანდარტი იგრძნობა და ცხადია, რომ პროცესი ტენდენციურია. რა კითხვებია საჭირო აქ, რომ ეს არის პოლიტიკურად შეკვეთილი პროცესი?!

ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყო მსგავსი გადაწყვეტილების მიღების დროს. აქ, საუბარი არ არის იმაზე, თუ ვის რა დამოკიდებულება აქვს კონკრეტულად მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მიმართ. აქ საუბარია იმაზე, სახელმწიფოებრივად რამდენად სწორია ასეთი დემარში სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესთან მიმართებაში.

ეს არის დღეს მთავარი პრობლემა და ეს დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. მგონია, რომ ეს ძალიან ჰგავს იმას, რაც 2011 წელს ბიძინა ივანიშვილის მიმართ ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან.

***– ხაზარაძემ პოლიტიკური აქტივობა დააანონსა, შეიძლება ეს ყოფილიყო პროცესის განახლების მიზეზი?***

– თუ მამუკა ხაზარაძეს პოლიტიკაში მოსვლა უნდა, მოვიდეს ეს ადამიანი პოლიტიკაში და მერე გავარკვიოთ, ქვეყნისა და ხალხისთვის რა აქვს შესათავაზებელი. რამდენად პოზიტიური როლი ექნება მის პოლიტიკაში შემოსვლას. და თუ საერთოდ არ აპირებს პოლიტიკაში შემოსვლას, მაშინ ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით ხელისუფლება ისედაც ძალიან ფრთხილი უნდა ყოფილიყო.

თუ რამე იქ ისე ვერ წავიდა, როგორც საჭიროა ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაცაა.

ეს არ არის მხოლოდ მამუკა ხაზარაძის კერძო თემა და პროექტი, ეს არის სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი. ამიტომ, ხელისუფლება ძალიან თანმიმდევრული უნდა იყოს.

***– შეიძლება გაგრძელდეს ოპოზიციის დაკავების პროცესი და უფრო გამძაფრდეს ვითარება თუ პირიქით, „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ დაიწყებს მზადებას?***

– დღეს ერთადერთი რამეა მთავარი – ხალხი მოტყუებულია! აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ხელისუფლება რა მოცემულობას შეუქმნის ხალხს.

ხალხის ინტერესი სულ სხვა რაღაცაა. ხალხს აინტერესებს ქვეყნის განვითარება, პროგრესი და არა – ეს საშინელი სტაგნაცია და უკუსვლა, რომელშიც ვიმყოფებით. ხალხს ჭირისუფალი ხელისუფლება უნდა და არა – ხელისუფლება, რომელმაც მოატყუა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი, ამ ქვეყნის მოქალაქეები მიიღებენ გადაწყვეტილებას ყველა შემთხვევაში. ახლა მთავარია, როგორ მივალთ არჩევნებამდე, ეს იქნება უფრო რთული გზა თუ ნაკლებად რთული გზა, ეს არის მნიშვნელოვანი. ახლა მხოლოდ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, შეასრულებს თუ არა იმ დაპირებას, რომელიც მან გასცა.

***– გულისხმობთ საარჩევნო სისტემის ცვლილებას?***

– დიახ! შეასრულებს ამ დაპირებას თუ პირიქით, გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, საარჩევნო პროცესში ჩაერევა სუსი, უშიშროება თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს მთლიანად მასზეა დამოკიდებული. თუ „ქართული ოცნება“ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ საარჩევნო პროცესზე ზეგავლენა მოახდინოს, მერწმუნეთ, ეს კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას, ეს კიდევ უფრო გააბრაზებს ხალხს.

ხალხის სურვილს, რომ არსებული რეალობა შეცვალოს, რომ ეს სტაგნაცია შეცვალოს, წინ ვერაფერი ველარ დაუდგება. ხალხი ამას გააკეთებს დემოკრატიული და კანონიერი გზებით.

ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას და ძალადობას უკუშედეგი ექნება. ხალხის ნების საწინააღმდეგოდ წასვლა შეუძლებელია, ეს დაადასტურა ისტორიამ და იმ საზოგადოებამ, რომელსაც მისი ნების საწინააღმდეგოდ ექცეოდნენ.

# კოტე კემულარია: „ოქრუაშვილის საქმეზე ივანიშვილმა მურუსიძე დაიბარა“

ხელისუფლების მთავარი სამიზნე ირაკლი ოქრუაშვილი აღმოჩნდა. საქალაქო სასამართლოში გამოცხადებული გადაწყვეტილების თანახმად, მას 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

უტყუარი მტკიცებულები სასამართლოში არავის წარუდგენია, თუმცა ოქრუაშვილი და მასთან ერთად 20 ივნისის საქმეზე დაკავებული ყველა პირი, მაინც პატიმრობაში დატოვეს და წაყენებული ბრალის მიხედვით, მოსამართლემ შესაძლოა, ისინი 9 წლითაც ციხეში გაუშვას.

დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე კი სრულიად სხვა საბაბით, ოქრუაშვილის მძღოლი დაიჭირეს, უცხოეთში მყოფ თავდაცვის ყოფილ მინისტრს კი შეუთვალეს, საქართველოში აღარ დაბრუნებულიყო.

როგორც ოქრუაშვილის თანამოაზრეები აცხადებენ, მიზეზი, რის გამოც ივანიშვილმა მისი დაპატიმრება გადაწყვიტა, სწორედ „რუსთავი2“-ის საქმეა.

რა მოხდება მაშინ, თუ დადასტურდა, რომ ოქრუაშვილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე ნამდვილად ქიბარ ხალვაში აწერს ხელს და შესაბამისად „რუსთავი2“, ოქრუაშვილის მტკიცებით მიხედვით, მის საკუთრებას წარმოადგენდა.



უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი კოტე კემულარია ამბობს, რომ ის ფლობს უტყუარ ინფორმაციას, თუ როგორ დაიბარა მოსამართლე მურუსიძე ივანიშვილმა შუშის სასახლეში და „რუსთავი2“-ის შესახებ ოქრუაშვილის დოკუმენტის სამართლებრივი საფუძვლები გამოკითხა.

თუ ოქრუაშვილის დოკუმენტი უტყუარია, მაშინ ტელევიზიის მფლობელი სწორედ ის გამოდის და არა – ხალვაში. „რუსთავი 2“-ის საქმეში ხალვაშის ნომინალობას ადასტურებს „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 2004 წელს ტელეკომპანიის წილების საეჭვო გარიგებების უშუალო მოწმე ჯარჯი აქიმიძე. რომელიც ამბობს, რომ მას მოლაპარაკებები მაშინდელ ხელისუფლებასთან ჰქონდა და ხალვაში პირველად ნოტარიუსთან ნახა.

8-თვიანი ლოდინის შემდეგ, ხალვაშმა საბოლოოდ ჩააბარა მისი ხელმოწერის ნიმუში ექსპერტიზის ბიუროში.

ამ გრაფოლოგიურმა დასკვნამ, რომლის პასუხი ჯერ ცნობილი არ არის, შესაძლოა, „რუსთავი 2“-ის საქმე თავდაყირა დააყენოს.

**რუსთავი 2**

# ლევან მურუსიძე: „აბსურდია, რომ ივანიშვილს სამხარაულის დასკვნის საკითხზე შევხვდი“

## „ივანიშვილთან ჩვენი ბოლო შეხვედრა 2013 წელს შედგა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **ლევან მურუსიძე** პასუხობს.

***– ბატონო ლევან, დიდი ხმაური მოჰყვა რუსთავი 2-ის სიუჟეტს. საუბარია, რომ სწორედ თქვენ გააცანით ბიძინა ივანიშვილს სამხარაულის დასკვნა, რომელმაც ივანიშვილი მდგომარეობიდან გამოიყვანა, ოქრუაშვილის დაპატიმრების ბრძანება გასცა და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დახურვით დაემუქრაო. ადასტურებთ ამ ყველაფერს?***



– საიდან მოგაქვთ ამდენი ცრუ ინფორმაცია, ამდენი სიბინძურე. ან ოქრუაშვილის საქმეზე მე რატომ მირეკავთ. მე შვებულებაში ვარ და საქართველოში არ ვიმყოფები.

***– როდის შეხვდით ბოლოს ბიძინა ივანიშვილს?***

– მე ადრეც მაქვს თქვენს ინტერვიუში ნათქვამი, შევხვდი 2013 წელს, როდესაც იყო. ეს იყო ღიად და საჯაროდ.

***– ამ ბოლო დღეებში ივანიშვილს არ შეხვედრიხართ, მასთან სამხარაულის დასკვნის შესახებ არ გისაუბრიათ, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ოქრუაშვილი სიმართლეს ამბობს და ხელმოწერა გაყალბებული არ არის?***

– ეს არის სრულიად აბსურდული ბრალდება. როგორი თემაა, იცით? მე მაქვს შეგრძნება, რომ ზოგადად ეძებენ სკანდალს და რადგანაც ჩემ მიმართ ამდენი წლის განმავლობაში უსამართლოდ მიდის ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფას მაყენებენ წლების განმავლობაში, გამოდიან უპასუხისმგებლო ადამიანები და ისეთ თემას მაბრალებენ, რომლის დამტკიცებაც გამორიცხულია და, საერთოდ, ვერ მოძებნი ვერავის, ვინც ამას დამიდასტურებს.

წლების განმავლობაში მაყენებენ შეურაცხყოფას. მე არ ვიმყოფები საქართველოში და არავითარი შეხება ამ საქმეებთან არ მაქვს. მეტ კომენტარს მე ვერ გავაკეთებ.

***– არ ადასტურებთ სიუჟეტში გასულ ინფორმაციას?***

– გითხარით, რომ არ მაინტერესებს ეგ სიუჟეტი, ეს არის სიბინძურე! ფიქრობენ, რომ საზოგადოებაში რახან ლევან მურუსიძის სახელს ვახსენებთ, ე.ი. ჩვენ პატიოსნები ვართ, ჩვენ სიმართლეს ვლაპარაკობთ და მურუსიძე ცუდია.

ყველა საკითხთან ჩემი სახელის ხსენება ცოტა არადამაჯერებელია. ეს ყველაფერი არის მიზანმიმართული, ბინძური კამპანია, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს და მე ამ საკითხთან დაკავშირებით მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ.

***– ანუ ამტკიცებთ, რომ ივანიშვილი 2013 წლის მერე არ გინახავთ? ასე რომ არ აღმოჩნდეს?***

– არ მინახავს! ის შეხვედრაც იყო ღია, მაშინ ვიყავი საბჭოს მდივანი და რაც ის შეხვედრა გვქონდა ოფიციალური, იმის შემდეგ მასთან არანაირი შეხვედრა არ მქონია.

***– რას იტყვით ირაკლი ოქრუაშვილის დაკავების შესახებ? თქვენ ხომ მოსამართლე ხართ, საუბარია, რომ ის უკანონოდაა დაკავებული და რომ ის ივანიშვილის პირადი პატიმარია.***

– რა შუაში ვარ მე? ოქრუაშვილის საქმეზე მე რატომ უნდა გავაკეთო კომენტარი?! მე რა შუაში ვარ?!

***– როგორ თუ რა, დღესაც თქვენზე დგას ეს სასამართლო.***

– მე ვარ რიგითი მოსამართლე, ვმუშაობ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში და საერთოდ არ მეხება სისხლის სამართლის საქმეები. საერთოდ წარმოდგენა არა მაქვს ამ საქმესთან დაკავშირებით და საერთოდ არა ვარ ადრესატი ამ თემის. ამიტომ ვერაფერს გეტყვით ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

შვებულებაში ვარ, არ ვიმყოფები საქართველოში, არ ვარ სისხლის სამართლის მოსამართლე, ვარ რიგითი მოსამართლე და არ მიკავია არავითარი თანამდებობა.

***– თქვენ გაამწესეთ უვადოდ ეს მოსამართლეები და ამიტომ მოდის თქვენთან ეს კითხვები. არ არის გამართლებული მათი უვადოდ დანიშვნა, რადგან არ გამოაქვთ ობიექტური გადაწყვეტილებებიო.***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კოჟორიძე: „ოქრუაშვილის დაპატიმრება მძიმე ტვირთია სასამართლოსთვის“

## სხდომა რომ არ დაეხურა მოსამართლეს, ნათლად გამოჩნდებოდა ამ საქმის პოლიტიკური მოტივაცია

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, იურისტი **კახა კოჟორიძე** პასუხობს.

***– კახა, როგორია თქვენი, როგორც იურისტის და უფლებადამცველის შეფასებები ირაკლი ოქრუაშვილის საქმესთან დაკავშირებით? რამდენად სამართლიანი იყო უვადო მოსამართლის, მაკა გველესიანის გადაწყვეტილება და, საერთოდ, რას ფიქრობთ ამ საქმეზე? მელია აცხადებს, მაშინ მეც რატომ არ დამაკავეს, ირაკლი ოქრუაშვილიც იგივე მუხლით არის დაკავებულიო. რას იტყვით თქვენ?***

– როცა ოქრუაშვილი დააკავეს, მე იმ დღესვე ვთქვი ერთ-ერთ ტელეეთერში, რომ ახლა სასამართლო არის მძიმე არჩევანის წინაშე და რატომ? იმიტომ, რომ ამ სასამართლოს ჰქონდა ორი არჩევანი, ერთი, რომ გამოეშვა ირაკლი ოქრუაშვილი ან აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდებინა პატიმრობა. თუ გამოუშვებდა, მაშინ გამოდიოდა, რომ სამართალდამცავებმა, ვინც დააკავა ოქრუაშვილი, ისედაც ხომ იცოდნენ, რომ მელიასთან მიმართებაში სხვა ტიპის პრაქტიკა იყო და რატომ დააკავეს? რა აუცილებლობას წარმოადგენდა ოქრუაშვილის დაკავება? აი ამას გაამყარებდა სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომელიც, დავუშვათ, ოქრუაშვილს გამოუშვებდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ გამოუშვებდა და გამოიყენებდა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას, მაშინ ასევე რთული მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდებოდა სასამართლო...

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ გაჩნდებოდა კითხვები, რომ მელიას თუ უშვებ და იმას ხომ იმუნიტეტი მოხსნილი ჰქონდა. ამიტომ ვერავინ იტყოდა, მელიას იმუნიტეტი იცავდაო, შესაბამისად, ეს კითხვები გაჩნდებოდა, რატომ იყო ერთი და იგივე სასამართლოს მიერ, რა მნიშვნელობა აქვს მოსამართლე იგივე იყო თუ არა, სასამართლო ხომ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას უნდა ამყარებდეს? ყველა ხომ თანასწორია, ყველა ხომ ერთნაირი მართლმსაჯულების ქოლგის ქვეშ უნდა იდგეს?!

***– ნიკა მელიას და ირაკლი ოქრუაშვილის საქმეებს გულისხმობთ?***

– ზუსტად ერთი და იგივე მუხლი აქვთ წარდგენილი, ერთი და იგივე ამბავია, უფრო მეტიც, შესაძლებელია მელიას შემთხვევაში უფრო გამოკვეთილია, რომ ის რაღაცაზე ანიშნებს, შესვლაზე და ასე შემდეგ. ხოლო ოქრუაშვილთან მიმართებაში გავრცელებულ მასალაში კი, იქ არის შეხლა-შემოხლა და გაწევ-გამოწევა, მაგრამ მუხლის შემადგენლობა არის სხვანაირი, რომ ძალადობის ორგანიზება მუხლის შემადგენლობა და ძალადობის ორგანიზება არ ჩანდა იმ კადრებში. შესაბამისად, მით უმეტეს, ოქრუაშვილთან მიმართებაში გაჩნდებოდა კითხვები, რომ რა აუცილებლობა იყო აქ პატიმრობის გამოყენება აღმკვეთი ღონისძიების სახით. მაშინ როცა, სასამართლომ თქვა მელიასთან მიმართებაში, რომ პატიმრობას არ ვიყენებ და ვუკეთებ სამაჯურს. რატომ არ გაუკეთეს სამაჯური ოქრუაშვილს?! აი ეს კითხვები, რა თქმა უნდა, არის და ესეც ხაზს უსვამს იმაზე, რომ არის შერჩევითი მართლმსაჯულება.

***– მელიასთან მიმართებაში რატომ არ გამოიყენეს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა?***

– როგორც ჩანს, გამომდინარე იქიდან, რომ ის დეპუტატი იყო, ოპოზიციური ძალის ლიდერი იყო და ეს ოპოზიციური ძალა არის ძლიერი ოპოზიციური ძალა, შეიძლება შეეშინდათ საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლის და ასე შემდეგ, სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მიიღო. ოქრუაშვილთან მიმართებაში კი ის გადაწყვეტილება მიიღო და ასე პოლიტიკურ შერჩევითობაში შესვლა, ძალიან მძიმე ტვირთია მართლმსაჯულებისთვის. ოქრუაშვილთან მიმართებაში ეს კითხვები სასამართლოს გადაწყვეტილებამ გაამართლა. მით უმეტეს, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რა იყო მოცემულობა.

***– რა მოცემულობაზე საუბრობთ?***

– ოქრუაშვილი იყო საზღვარგარეთ წასული. 20 ივნისის შემდეგ წავიდა, ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას შეუთვალეს დაკავების შესახებ, მიაწოდეს ინფორმაცია სავარაუდო დაკავების შესახებ, შემდეგ დაიჭირეს მისი დაცვის წევრი, რომელზეც იყო ინფორმაცია, რომ შესაძლებელია იარაღი ჩაუდეს, ამას ამტკიცებდა ოქრუაშვილიც და მისი დაცვის წევრიც. ეს კი მოხდა არა უშუალოდ მისი დაცვის წევრის დასაშინებლად, არამედ ოქრუაშვილის გასანეიტრალებლად. აი ამის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ძალიან მაღალი ალბათობით ვარაუდი და საფუძველი იმისა, რომ მას ასევე ემუქრებოდა დაკავება...

***– ის მაინც ჩამოვიდა...***

– დიახ, ის დაბრუნდა საქართველოში. მას ჰქონდა სრული შესაძლებლობა და ფინანსური რესურსიც, რომ იქ დარჩენილიყო, მაგრამ დაბრუნდა საქართველოში და მართლმსაჯულებას არ დაემალა. რა საჭირო იყო მაშინ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება?! კიდევ გარემოება არის ის, რომ ის მტკიცებულებები, რაც ოქრუაშვილის საქმეში იქნა გამოყენებული, ვიდეო ჩანაწერის სახით და სხვა მტკიცებულებები, ძალიან მაღალი ალბათობით გამოძიებას ჰქონდა რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე მისი დაკავება მოხდებოდა. ამ პერიოდში კი ოქრუაშვილმა რუსთავი 2-თან დაკავშირებით გააკეთა ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები და შეიტანა სარჩელი...

***– დიახ და მივადექით ამ მთავარ თემასაც, რომ მისი დაკავება სწორედ რუსთავი 2-ს უკავშირდებაო, ასეა?***

– სწორედ ამას მოყვა მერე მისი დაკავება. ისე დალაგდა ეს ყველაფერი დროში, შინაარსის მიხედვით, რომ, რა თქმა უნდა, ეს კითხვები ჩნდება ცალსახად.

***– სამხარაულმა ხელმოწერა რომ ნამდვილია და არ არის გაყალბებული ისიც დაადასტურაო...***

– ეს ინფორმაცია გამოვიდა, თორემ ოფიციალურად სამხარაულს ეს ხომ არ დაუდასტურებია. ეს რომ დაადასტუროს, მაშინ ოქრუაშვილს მოგებული ექნება ეს სარჩელი. შესაბამისად, მე ვვარაუდობ, რომ მაგის დადასტურება ოფიციალურად არ მოხდება. ასევე გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ძალიან მაღალი ალბათობით, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რა სამართლებრივ პროცედურებსაც მე ვაკვირდები ხოლმე, ჩემი აზრით, სამხარაული არ დაადასტურებს იმას, რომ იქ არის ქიბარ ხალვაშის ხელმოწერა და შემდეგ, როცა ამის სასამართლო განხილვა მოხდება, სასამართლოს ექნება ასეთი მოცემულობა, ერთი მხრივ, სამხარაულის დასკვნა, სადაც არ დასტურდება ქიბარ ხალვაშის ხელმოწერა და მეორე მხრივ, ოქრუაშვილის დაკვეთით პარიზში ჩატარებული ექსპერტიზა, ჩემის აზრით, სასამართლო მოექცევა გავლენის ქვეშ და გაიზიარებს სამხარაულის დასკვნას, სადაც ხალვაშის ხელმოწერა არ იქნება დადასტურებული და არ გაიზიარებს სხვების დასკვნას. ეს არის ძალიან მაღალი ალბათობით ვარაუდი, რომ ასე იქნება. ასე რომ, ოქრუაშვილი დიდი ალბათობით ამ დავას ვერ მოიგებს. მე არ ვიცი, რამდენად სამართლებრივი საფუძველი აქვს და ასე შემდეგ, მაგრამ ამ დავას რომ აქვს პოლიტიკური შეფერილობა და ეს გავლენას იქონიებს ამ დავის შინაარსზე, ამიტომ სასამართლოში ამ დავის მოგება ოქრუაშვილს ძალიან გაუჭირდება.

***– მოსამართლე მაკა გველესიანმა, რომელიც უვადო მოსამართლეა, პროცესი დახურა, როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება?***



– მე არ ვიცი სასამართლოს არგუმენტაცია პროცესის დახურვასთან დაკავშირებით, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ უნდა დაიხუროს. არგუმენტი არ ვიცი, რატომ უნდა დაიხუროს. ეს მოხდა იმიტომ, რომ პროცესზე ჟურნალისტების არსებობა, საზოგადოების არსებობა და ჩანაწერების გაკეთება იმ სხდომაზე და მერე იმისი საზოგადოებისთვის ჩვენება, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენდა ამ საქმის პოლიტიკურ მოტივაციას. კაცი დაჭერას ელოდებოდა და მაინც ჩამოვიდა, ეხლა ესენი ამბობენ, გამოძიებას დაემალებაო. დამალვა რომ სდომოდა, ხომ არ ჩამოვიდოდა?! თუმცა სასამართლომ მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო. რატომ ხდება ხოლმე, სასამართლო რომ ხურავს საქმეებს?!

***– რატომ ხდება?***

– წინა ხელისუფლების დროს სასამართლო პროცესები იყო ღია, მერე კანონშიც შევიდა ცვლილება და პროცესებს ხურავდნენ. როცა თვითონ მიხვდნენ, რომ სასამართლო ისეთ მძიმე დღეშია, რომ არ უნდათ საზოგადოებს ეჩვენოს, თვითონაც ხვდებიან, რომ ცუდი სახე აქვს სასამართლოს და ამ ცუდი სახის სასამართლოსთვის ჩვენება არ უნდათ. წინა ხელისუფლების დროსაც იმიტომ იხურებოდა თითქმის ყველა პროცესი. ახლაც ასეა.

***– რადგან პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე ვსაუბრობთ სასამართლოს მხრიდან, საუბარია, რომ ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმესაც პოლიტიკური შეფერილობა აქვსო. თქვენ რას იტყვით?***

– ხაზარაძესთან მიმართებაშიც რამდენიმე აქცენტია. ეს საქმეც ტოვებს შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნებს ცხადია. ის, რომ მოქმედ პოლიტიკურ ელიტას ხაზარაძე არ მოსწონდა, ჩვენ რამდენიმე თვის წინ გავიგეთ და კულუარებში კიდევ უფრო ადრე იყო მაგ თემებზე საუბარი, რომ მიუღებელი პირი იყო ხაზარაძე. ის, რომ მას შეუთვალეს გარკვეული მოქმედებების შესრულება, ხაზარაძემ ამაზე საპარლამენტო ტრიბუნიდან ღიად ილაპარაკა. წერილის შესახებ, სხვა მოქმედებების შესახებ. მისი ბანკის მიმართ რომ განხორციელდა კიბერშეტევა, ამაზეც ისაუბრა ხაზარაძემ. კიბერშეტევასთან დაკავშირებით მე ვნახე მისი წერილები, 20 წერილი მაინც აქვს გაგზავნილი საგამოძიებო ორგანოებისთვის, რომ გამოიძიეთო. კონკრეტული ფაქტები მიაწოდა, კონკრეტული მისამართი, რომ რუსთაველის 12 ნომრიდან ხდებოდა ეს შეტევა. ის ინფორმაციაც გავრცელდა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული პირის მიერ იყო ეს ოფისი დაქირავებული. ანუ მთელი რიგი ფაქტები იყო, რომელიც მიუთითებდა, რომ თიბისი ბანკთან მიმართებაში რაც ხდებოდა, ეს იქნებოდა პოლიტიკური მოტივებით განპირობებული. გამოძიების გაჭიანურებაც პოლიტიკური მოტივებით აიხსნება.

***– ამიტომ გაჭიანურდა კიბერშეტევის გამოძიება?***

– დიახ. ჩვენ ძალიან ბევრი საქმე გვინახავს თაროზე შემოდებული იმიტომ, რომ ვიღაცას მაღალი ეშელონებიდან, არ უნდა ამ საქმის გაგრძელება. ახლაც ეგ შთაბეჭდილება იქმნება. მაშინ როცა, გაცილებით მძიმე დანაშაულებები, ვიდრე ხაზარაძე-ჯაფარიძისაა, თუნდაც წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი, თაროზეა შემოდებული... მე გავიხსენებდი 2013 წლის 28 ნოემბერს, როდესაც წულუკიანმა, მაშინ საუბარი იყო მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე და გამოვიდა წულუკიანი 28 ნოემბერს და მთავრობის სახელით თქვა, რომ ჩვენ ამ კომისიას ვერ შევქმნითო, რადგან ჩვენ რომ დავადგინოთ, რომ ვიღაცები უსამართლოდ დაისაჯნენო, მოგვიწევს კომპენსაციის გადახდა და ბიუჯეტს არა აქვს ფულიო. ანუ ეკონომიკური მოტივით უარი თქვა კანონის უზენაესობის პრინციპის განხორციელებაზე მთავრობის სახელით! მოდით ახლა და შევადაროთ ხაზარაძის საქმეს...

***– ეკონომიკური კუთხით?***

– დიახ. ხაზარაძესთან მიმართებაში, ვიცით, რომ ეს გამოძიება ზიანს აყენებს თიბისი ბანკს და მილიონობით ზიანზეა საუბარი. ვიცით, რომ ზიანს აყენებს საინვესტიციო გარემოს, რადგან ყველა ინვესტორს გაუჩნდება კითხვები, რომ რანაირად უნდა იყოს ჩემი ინვესტიცია დაცული ამ ქვეყანაში, თუ სამართალდამცავი ორგანოები არ არიან აპოლიტიკური ორგანოები. ასევე ზიანს აყენებს ანაკლიის ცალმხრივად მნიშვნელოვან პორტს და ეს ეკონომიკური ეფექტი არ იყო გასათვალისწინებელი? სრულიად პირიქით მოხდა, აქ ეკონომიკური ფაქტორები სრულიად დაივიწყეს. თურმე ხაზარაძის და ჯაფარიძის პასუხისგებაში მიცემა ისეთი მნიშვნელოვანი ყოფილა კანონის უზენაესობისთვის, რომ არაუშავს თუ პრობლემა შეექმნება საინვესტიციო გარემოს, არაუშავს თუ ლარს პრობლემა შეექმნება, არაუშავს თუ ანაკლიის სტრატეგიულ პროექტს პრობლემა შეექმნება, ისეთი მნიშვნელოვანია ჯაფარიძის და ხაზარაძის პასუხისგებაში მიცემა. ამიტომ ჩნდება ეს კითხვებიც. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან მძიმე ამბავი. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

***– კიდევ რა?***

– ხაზარაძეს და ჯაფარიძეს ბრალი აქვთ წაყენებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, ფულის გათეთრებაზე. არაერთი იურისტის მოსაზრება არსებობს მასზე და მეც ვუერთდები ამ მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში, დანაშაულის ის შემადგენლობა, რაზეც არის საუბარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან მიმართებაში სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ მუხლში, ეს დანაშაულის შემადგენლობა არ იქმნება. იმ ქმედებაში არის თუ არა უფრო მსუბუქი თუ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ნიშნები, ამაზე პასუხი გაგვცეს პროკურატურამ, სხვა დანაშაულის ნიშნები არის თუ არა, მაგრამ რაც წაუყენეს, იმ დანაშაულის ნიშნები არ არის. შესაბამისად ჩნდება კითხვა, რომ რაღა მაინცდამაინც ის მუხლი წაუყენეს, რისი შემადგენლობაც სახეზე არა გვაქვს?! ბრალის ხელოვნურობაზე მიუთითებს!

# ლევან მურუსიძე: „აბსურდია, რომ ივანიშვილს სამხარაულის დასკვნის საკითხზე შევხვდი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– მე შემიძლია გითხრათ ერთი რაღაცა. ყველაზე დიდი ამბები ატეხილი იყო რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით და წლების განმავლობაში სასამართლოს აგინებდნენ და ლანძღავდნენ ე.წ. რუსთავი 2-ის საქმეზე.

საბოლოო ჯამში, სტრასბურის სასამართლომ გამოიტანა სწორედ ისეთი გადაწყვეტილება, სადაც მან თქვა, რომ ქართული სასამართლოები მუშაობენ კარგად. თანაც ისეთ საქმეზე, რომლის გამოც ჩვენი სასამართლო ყველაზე მეტად გაილანძღა. აი, ეს არის ჩემი პასუხი თქვენს კითხვაზე და მოსამართლეების დანიშვნა-არდანიშვნაზე.

რაც შეეხება ოქრუაშვილის საქმეს, წარმოდგენაც კი არა მაქვს, რას მეკითხებით, რადგან ვარ შვებულებაში და არ ვიმყოფები საქართველოში.

***– ოქრუაშვილი ამტკიცებს, რომ მისია რუსთავი 2.***

– არ ვიცი, მე ვერ გეტყვით ვერაფერს. წარმოდგენა არა მაქვს და საერთოდ არაფერი არ ვიცი ამ თემაზე.

***– ცოტა დაუჯერებელია, რასაც ამბობთ.***

– თქვენი უფლებაა, დაიჯერებთ თუ არა. მე ამ თემასთან არასოდეს შეხება არ მქონია.

***– რაც სასამართლოში ხდება, ყველა გზა მურუსიძემდე მიდისო.***

– ეს ასე არ არის! ტყუილად სვრიან ჩემს სახელს ლაფში და მაბრალებენ ათას სიბინძურეს. ერთი რიგითი მოსამართლე ვარ!

# ვისი დავალებით ითხოვს რაინდი ვასაძე მედიის გაკონტროლებას

შორენა მარსაგიშვილი



გეიაღლუმის გამართვით იმედგაცრუებული და გულგატეხილი ლევან ვასაძე აზრზე მოვიდა და მრისხანების რეჟიმზე გადავიდა. ამჯერად მისი რისხვა თავს ქართულ მედიას დაატყდა.

სექსუალური უმცირესობების ამწიოკებელი ახლა მედიის ალაგმვის ინიციატივით გამოდის და ამ საქმეში დახმარებას „ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს სთხოვს. ამასთან დაკავშირებით მან საგანგებო ვიდეომიმართვა გაავრცელა.

გავრცელებული ინფორმაციით, ვასაძე პოლიტიკაში აპირებს შემოსვლას. ამის შესახებ მან და ივანიშვილმა შეთანხმებას ჯერ კიდევ მარტის თვეში მიაღწიეს. რაინდს ამბიცია აქვს, რომ მესამე ძალა გახდეს. მას იმედი აქვს, რომ ეროვნულ მოძრაობას მონატრებული ხალხი მას დაუჭერს მხარს.

რაც შეეხება მის ახალ გამოხდომას – მედიის ალაგმვის სურვილს, ის ბიძინა ივანიშვილს უმკაცრესი რეგულაციების გატარებას სთხოვს.

– მინდა მივმართო ბიძინა ივანიშვილს და ჩვენს მთავრობას. უნდა შეიქმნას სასწრაფოდ რეგულატორი, რომელიც ცილისწამებისთვის, შეურაცხყოფისთვის, მათ შორის რელიგიური და ტრადიციული გრძნობების შეურაცხყოფისთვის უსასტიკესად დასჯის მედიასაშუალებებს და პერსონალურად იმ ჟურნალისტებს, ვინც ამას იკადრებენ. ვერანაირ ეკონომიკას და სტაბილურობას, ასეთი ფარღალალა, უპატრონო მედიაპოლიტიკის პირობებში ვერ შექმნით. აქედან წამოგითაქებენ და ლამის გადმოგიყირავებენ სახელმწიფოს ერთი ჩვეულებრივი მედია პროვოკაციის მეშვეობით და გაზარალებენ კიდევ სამ მილიარდს, – აცხადებს ბიზნესმენი და რაინდი თავის მიმართვაში.

ლევან ვასაძეს უკვე მოფიქრებული აქვს, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს მედიარეგულატორი. ამბობს, რომ იქ პრინციპული და უმწიკვლო ხალხი უნდა იყოს.

– ბევრი არ დასჭირდება ამ ლაჩარი ხალხის პირობაზე – ერთს, ორს, სამს ლიცენზიას ჩამოართმევ, ჯარიმას მიარჭობ, თუ საჭიროა, ციხეში ჩასვამ და თქვენით ნახავთ, როგორ დალაგდება ეს ქვეყანა. გამოიბერტყეთ ყურები, გამოიფშვნიტეთ თვალები და გააკონტროლეთ უმკაცრესი სახით მედია, რომელიც დასახლებულია უსინდისო და უკულმართი ადამიანებით. სხვანაირად ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველება. – აღნიშნავს ვასაძე.

მის ინიციატივას საზოგადოების დიდ ნაწილში უარყოფითი შეფასებები მოჰყვა. ხალხი ვარაუდობს, რომ რაინდს ეს განცხადება ხელისუფლებამ გააკეთებინა, რომლის წარმომადგენლებიც უკვე ალაპარაკდნენ ცილისწამების შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე.

# ირაკლი ოქრუაშვილი ბიძინა ივანიშვილის პირადი მძევალი?

„ივანიშვილის ხელისუფლებიდან მოშორებისთვის თუ საჭიროა ციხეში ვიჯდე, ვიჯდები იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მომიწევს. ციხიდან არანაკლებ გავაგრძელებ მისი ხელისუფლების ნგრევას და არ დავუთმობ არც „რუსთავი 2“ -ს და ვერც სხვა საქმეებზე გამაჩერებს“. ირაკლი ოქრუაშვილი, 26.07. 2019 წ.



მეორე დღეს სასამართლომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლის თანახმად, რომელიც 6-დან 9-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს, 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. მელიასგან განსხვავებით, „ქართულმა ოცნებამ“ ჩათვალა, რომ სამაჯურით ოქრუაშვილს ვერ გააჩერებდა, ამიტომაც იგი განსაკუთრებით საშიში აღმოჩნდებოდა უკვე საგრძნობლად შერყეული ხელისუფლებისთვის. ოქრუაშვილი ციხეში გაამწესა იქამდე, ვიდრე ამის ძალა მოქმედ ხელისუფლებას შესწევს. ეჭვი არავის ეპარება, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში 9 წელს ველარ მოათევს, ამიტომაც, ციხეში თუ მის გარეთ, ოქრუაშვილს ნამდვილად მოუწევს ივანიშვილის ჭიქიდან ჩაის თუ არა შამპანურის დალევა მაინც. ივანიშვილის შიშები კი ოქრუაშვილთან დაკავშირებით ასე დაიწყო:

თვენახევრის წინ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ფიგურამ განაცხადა, რომ ქართულ პოლიტიკაში ბრუნდებოდა და პარტია „გამარჯვებული საქართველო“ დააფუძნა. ახალ ქართულ პოლიტიკურ რეალობაში დასაბრუნებლად ოქრუაშვილს იქამდეც ჰქონდა მცდელობა, თუმცა კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გორის მერის თანაშემწის თანამდებობაც დააყვედრა თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ეკონომიკის ყოფილ მინისტრს და საბედისწერო შეცდომაც დაუშვა...

ყველასთვის ნათელი გახდა: ოქრუაშვილი პოლიტიკაში თუ დაბრუნდებოდა, მეორე იარუსის ბილეთს ნამდვილად არ შეიძენდა. მისი გამოჩენით ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე ახალი რეალობა შეიქმნა და პოლიტიკურმა ტემპერატურამაც მკვეთრად მოიმატა. სულ რამდენიმე კვირაში „ქართულ ოცნებას“ მეტნაკლებად დალაგებულ-მოსყიდულ-დაპურებულ, ზოგიც დაშინებული პოლიტიკური სარბიელი უმართავი გაუხდა. ოქრუაშვილის სახით ძლიერი პოლიტიკური ლიდერის გამოჩენა, რომელიც უამრავ კომპრომატს ფლობს, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ისე „ქართული ოცნების“ დღევანდელ ლიდერებზე, ივანიშვილის გეგმებში არ შედიოდა და ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. მოკლედ, ცხადი ხდებოდა, ოქრუაშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთ დიდ თავის ტკივილს გაუჩენდა „ქართული ოცნების“ ლიდერს.

ამასობაში ხელისუფლების მორიგმა უნიათობამ გავრილოვი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში წამოასკუპა. სპონტანური მღელვარების დასაშლელად „ლეგიტიმური“ საპოლიციო ღონისძიებები ათობით ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით დამთავრდა. 36 ჟურნალისტის მძიმე ფიზიკური ტრავმები და 2 ახალგაზრდის დათხრილი თვალები გახარიას სავარძლის სერიოზული რყევის მიზეზი გახდა. „ქართულ ოცნებას“, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა დაემტკიცებინა, რომ ხელისუფლების შენარჩუნებას ჯერ კიდევ ახერხებდა და საყოველთაო მღელვარების ჩასაქრობად კობახიძის შეწირვას ძვირად დაუსვამდა ოპოზიციას. „ქართული ოცნება“ იძულებული იყო ემოქმედა და საკუთარი შეთხელებული ელექტორატისთვის დაემტკიცებინა, რომ ის ჯერ კიდევ ხელისუფლებაშია და მელიების დაჭერა-მოთვინიერება-გაჩუმება ჯერ კიდევ ძალუძს. დააკავეს და დაკითხეს მიტინგის უამრავი მონაწილე...

ირაკლი ოქრუაშვილს პარიზში გასაფრენი ბილეთი 20 ივნისამდე რამდენიმე თვით ადრე ჰქონდა შეძენილი. პირადი საქმეები ცოტა ხნით გვერდზე გადადო და „გავრილოვის ღამეს“ პარლამენტის წინ ოპოზიციური მიტინგის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. რამდენიმე დღეში ის პარიზში იმ დათქმით გაფრინდა, რომ პროკურატურის პირველივე გამოძახებისას სამშობლოში დაბრუნდებოდა. ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და პირველ რიგში სოციალურ ქსელებში კარგად ცნობილი სახეები და მსუყედ დაფინანსებული ტროლები აამოქმედა. ოქრუაშვილის „გაქცევის“ შესახებ რამდენიმე დღის განმავლობაში იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი, როგორ გაიქცა „შეშინებული“ ოქრუაშვილი ქვეყნიდან, რომელშიც ის ჩამოსვლას ვერასოდეს გაბედავდა. ოქრუაშვილს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა „სანდო სახეებმა“ რამდენჯერმე დაურეკეს პარიზში და გააფრთხილეს, რომ დაბრუნების შემთხვევაში ხელისუფლება მას დაიჭერდა და ციხეში ამოალპობდა. თუმცა, ხელისუფლების მოლოდინის მიუხედავად, ოქრუაშვილი მაინც დაბრუნდა და არა მხოლოდ დაბრუნდა, „ქართული ოცნების“ სიხარულს რუსთავი 2-ის დაბრუნებასთან დაკავშირებით ცივი წყალი გადაასხა. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დაპატიმრებამდე მოასწრო და ამხილა ქიბარ ხალვაშისა და ხელისუფლების გარიგების გეგმა, თქვა ისიც, რომ რუსთავი 2-ის აქციათა 100% მისი საკუთრება იყო და სასამართლოში სარჩელის შეტანაც მოასწრო. ხელისუფლებისთვის ცხადი ხდებოდა — ოქრუაშვილის დაშინება შეუძლებელი იყო. ამიტომაც გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაღებული კადრები, სადაც ოქრუაშვილი მომიტინგეთა შორის დგას და ადამიანთა ტალღას მიჰყვება. 24 საათში კი მას, ჯიბეში ჩადებული სასამართლოს მეშვეობით, 225-ე მუხლის თანახმად 9-წლიანი მუხლი მიესაჯა.

„ქართულ ოცნებას“ მძიმე დღეები დაუდგა. ვეღარც ტროლების სამსახური და ვეღარც საკუთარი პოლიტიკური ლიდერები ახერხებენ, გადაფარონ „ოქრუაშვილის სიმართლე“, რომელიც ივანიშვილისა და მისი კადრების: ფარცხალაძის, შოთაძისა და ღარიბაშვილის ფარულ ზრახვებს ააშკარავებს. ამიტომაც საუკეთესო გამოსავლად ივანიშვილმა ოქრუაშვილის ციხეში გამოკეტვა მიიჩნია. მას შემდეგ, რაც თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა „პოლიტიკური ჯარის შექმნა“ დააანონსა, „ქართულ ოცნებას“ პირველი სერიოზული შიში გაუჩნდა იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რეალურად, ხელიდან გამოეცლებოდა. ამ პოლიტიკურ ფონზე ცხადი ხდება, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარია და მის პოლიტიკურ შიშებს ეწირება მსხვერპლად.

ასლან აბაშიძეს ჰყავდა პირადი მძევალი — ასანიძე. ბიძინა ივანიშვილს ჰყავს პირადი მძევალი — ირაკლი ოქრუაშვილი. საქართველოს უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, ცხადი გახდება: ივანიშვილის დასასრულის დასაწყისი დაწყებულია.

***გიორგი გამეზარდაშვილი***

# ფიქრია ჩიხრაძე: „რუსთავი 2-ის მფლობელი ის გახდება, ვინც ივანიშვილს გაურიგდება“

## „თუ ვინმეს არ ეკუთვნის რუსთავი 2, ეს ხალვაშია“

***იაგო ნაცვლიშვილი***

ირაკლი ოქრუაშვილი ციხეშია, ნიკა მელია შინაპატიმრობაში, მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს 700.000 ლარიანი გირაო შეუფარდეს, ათობით მომიტინგე ასევე ციხეში გაუშვეს... ეს ყოველივე სამოქალაქო საზოგადოებასა და ოპოზიციას პოლიტიკური რეპრესიების დაწყების ეჭვებს უჩენს. ოქრუაშვილის თემაზე მიიჩნევენ, რომ ის არა 20 ივნისის მოვლენებზე დაიჭირეს, არამედ რეალურად რუსთავი 2-ის თემაზეა დაჭერილი.

რა პროცესები მიდის ქვეყანაში? აპირებს თუ რუსთავი 2-ის დავაში ჩართვას? რომელზეც პირველი დავა სწორედ მისი და მისი მეგობრების — ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილისა და თედო ისაკაძის სახელს უკავშირდება. ისაკაძის განცხადებით ირკვევა, რომ არ გამორიცხავს დავაში ჩართვას, საინტერესოა, რა პოზიცია აქვს ფიქრია ჩიხრაძეს?

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ყოფილი პოლიტიკური მრჩეველი **ფიქრია ჩიხრაძე** საუბრობს:

***— ვნახეთ პოლიტიკური დაჭერები და ასევე სასამართლო განხილვა მიმდინარეობს „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების საქმეზე. ეს ყოველივე იძლევა თუ არა პოლიტიკური რეპრესიების საფუძველს?***

— ზოგადად ძალიან უსიამოვნო პროცესის მონაწილენი ვართ, ჩვენ თვალწინ უცნაური თამაში თამაშდება ხელისუფლების მხრიდან. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი 2020-ის ჭრილში განიხილება. ხელისუფლებამ, რომელმაც დათმო პროპორციული არჩევნები, დღეს ფიქრობს, რომ ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ ეს დათმობა არ დაუჯდეს ძალაუფლების დაკარგვად. მე მგონია, რომ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ ყველაფერი.

ის, რომ მამუკა ხაზარაძე, რომელიც ძალიან სერიოზული ფიგურაა პოლიტიკურ ველზე და საზოგადოებრივ პროცესში მისი ჩართვა ძალიან სერიოზულ ამბად შეიძლება განვიხილოთ. ყველა კვლევის მიხედვით, ძალიან ბევრი ადამიანის პოზიცია ჩამოუყალიბებელია, რადგან არ აქვს არჩევანი არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში. ის ამბავი, რაც მოხდა 20 ივნისს, როდესაც ძალის დემონსტრირება გადაწყვიტეს, რაც აშკარად არაადეკვატური იყო. მე თავად ვიყავი რუსთაველზე და როდესაც წყნარი სიტუაცია იყო, ზუსტად მაშინ დაიწყო ეს შეტევა და ის აღარ დამთავრდა არასოდეს. იმიტომ, რომ 3.5-4 საათის განმავლობაში დაუსრულებელი რბევა მიმდინარეობდა თბილისის ქუჩებში გამთენიამდე.

ეს დაჭერების კამპანია ნიშნავს იმას, რომ ვისაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აეღო და გადამდგარიყო — შს მინისტრი, ის აქეთ აკისრებს პასუხისმგებლობას ადამიანებს, რომლებიც შესაძლოა აბსოლუტურად შემთხვევითაც იყვნენ მოხვედრილი იმ სიტუაციაში.

ერთობლიობაში თუ ავიღებთ, უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლება დაადგა ძალიან არადემოკრატიულ გზას და ეს ყველაფერი ემსახურება 2020 წლის არჩევნებს, რომ მან არ გაუშვას ხელიდან ეს ძალაუფლება. როგორც ჩანს, ეს მომხიბვლელია ბიძინა ივანიშვილისთვის და „ქართული ოცნებისთვის“ და უნდათ, რომ ასეთი მეთოდებით შეინარჩუნონ ძალაუფლება. მათ არ ადარდებთ ამ ყველაფრის სამართლებრივი მხარე, არ ადარდებთ ის ადამიანები, რომლებიც თავისუფლებისთვის იბრძვიან და არ შეიძლება მათ ჯერ ტყვია დაუშინო და მერე პროტესტის გამოხატვის გამო საპყრობილეებში ჩაყარო. თუ დავუმატებთ იმასაც რა ხდება მედია-ბაზარზე, ყველაფერი ნათელი ხდება.

***— ირაკლი ოქრუაშვილის დაკავება უკავშირდება 20 ივნისის აქციას თუ უფრო მეტად სწორედ რუსთავი 2-ის თემასთან არის დაკავშირებული და ხალვაშთან გაფორმებულ იმ ხელშეკრულებასთან, რომელზეც ოქრუაშვილი საუბრობს?***



— მე მგონია, რომ რუსთავი 2-ის თემა უფრო წამყვანია. სხვა ადამიანებიც, მაგალითად, ნიკა მელიაც არის დაკავებული, რომელიც რუსთავი 2-თან არაფერ კავშირშია, მაგრამ იმ მოვლენებმა, რაც ბოლო პერიოდში ხდებოდა, ბუნებრივია, ბევრ ადამიანს გაუჩინა ასეთი შეგრძნება. მეც მაქვს ეს შეგრძნება.

***— იგივე საქმეზე მელიას შინაპატიმრობა მიუსაჯეს, ოქრუაშვილი კი ციხეში ჩასვეს. ამანაც ხომ არ გააჩინა გარკვეული ეჭვები?***

— რა თქმა უნდა. განსხვავებული რეჟიმი ამოქმედდა და ამანაც გაამძაფრა ეს განცდა, რომ შესაძლოა სწორედ ტელევიზიას უკავშირდებოდეს ეს ამბავი.

***— თქვენ და თქვენს მეგობრებს წლების წინ გქონდათ პირველი დავა რუსთავი 2-ის თემაზე. რამდენიმე დღის წინ თქვენმა მაშინდელმა პარტნიორმა გაავრცელა განცხადება, რომ შესაძლოა იფიქროს დაბრუნებაზე. რამდენიმე წლის წინ მე და თქვენ ვისაუბრეთ და თქვით, რომ ტელევიზია არ არის ის ქონებრივი რესურსი, როცა პირდაპირ უნდა გადადიოდეს მემკვიდრეობით. იგივე პოზიციაზე ხართ დღესაც?***

— მე ძალიან ვგულშემატკივრობდი და დღესაც ვგულშემატკივრობ რუსთავი 2-ს და მის სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ჩემთვის ეს ტელევიზია განიხილება არა ვიღაცის საკუთრების ფორმად, არამედ ის, რომ ქვეყანაში ისმოდეს განსხვავებული აზრი და ჩვენ პუტინის რუსეთის ანალოგიურ სიტუაციას არ ვქმნიდეთ ქვეყანაში.

რაც შეეხება მფლობელების თემას, ეს ისეთი თემაა და საზოგადოებამაც დაინახა, რომ მართლაც ეშმაკი ვერ გაარკვევს ამ ხლართებს, როდის რა ხდებოდა. რუსთავი 2-ს ასეთი ბედი დაჰყვა. რა თქმა უნდა, ისტორია ასეთი იყო, რომ თავდაპირველად ეს დაიწყო ქალაქ რუსთავში აქიმიძე-დვალი-კიწმარიშვილისა და ჩვენი — ჩემი და ჩემი მეგობრების ერთობლივი მუშაობითა და განსაზღვრით. ძალიან სერიოზულ ფაზაში იყო ეს ყველაფერი. იცით ეს თემა და აღარ გავაგრძელებ მოყოლას.

პირველი წართმევა რუსთავი 2-ის ისტორიაში დაფიქსირდა ასე, რომ მაშინდელმა ჩვენმა მეგობრებმა მოტყუებით წაიღეს ეს ტელევიზია და მე, თედო ისაკაძე და ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი დავრჩით მოტყუებულები. 2 ინსტანციის სასამართლო დავის მოგების შემდეგ, საბოლოოდ დავმარცხდით და ბრძოლაც შევწყვიტეთ...

შემდგომში ძალიან ბევრი რამ ხდებოდა ხან მოტყუებით, ხან ხელისუფლების ცვლილებებს უკავშირდებოდა ეს თემა. თავისთავად ის თემა, რომ მფლობელობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანები ამბობენ, რომ იძულებით აალებინეს ფული... ყველაფერი გამიგია მაგრამ, იძულებით ფულის აღების თემა ძალიან ღიმილის მომგვრელია. არის კიდევ ერთი თემა, რომ თუკი ვინმეს არ ეკუთვნის ეს ტელევიზია, ქიბარ ხალვაშს არ ეკუთვნის. ის მაშინაც აბსოლუტურად ნომინალური პირი იყო, როდესაც წლების წინ მფლობელის სტატუსში შევიდა და დღესაც აბსოლუტურად ნომინალური პირია. ალბათ არავის აქვს ილუზია იმისა, რომ მთელი ეს პროცესი ხელისუფლების ჩარევის გარეშე ხდებოდა.

დღეს რუსთავი 2-ის მფლობელი შეიძლება მხოლოდ ის გახდეს, ვინც გაურიგდება ბიძინა ივანიშვილს. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ძველ მფლობელებს ბიძინა ივანიშვილთან არ გამოუვიდათ ეს ურთიერთობა და გამოუვიდა ქიბარ ხალვაშს. თუ ვინმეს უნდა, რომ ნომინალურ ფიგურად იყოს რუსთავი 2-ის მფლობელის სტატუსში, ეს გახლავთ ქიბარ ხალვაში. ჩვენ ძალიან მალე დავინახავთ ამის სამწუხარო შედეგებს.

ასე რომ, სამართლებრივ ბრძოლას აზრი იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც ქვეყანაში არსებობს სასამართლო, როდესაც სამართლიანად შეიძლება წავიდეს საქმე და როდესაც ამით ზიანი არ უნდა მიადგეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და ქართველი მაყურებლის ინტერესებს, რომ მოისმინოს განსხვავებული და კრიტიკული აზრი.

***— ანუ, როგორც მივხვდი, თქვენ არ აპირებთ ბრძოლას რუსთავი 2-თვის?***

— მე ამ წუთში ნამდვილად განწყობილი ვარ, რომ მხარი დავუჭირო რუსთავი 2-ს, რათა მან შეინარჩუნოს სარედაქციო დამოუკიდებლობა. თუ ხვალ დავინახეთ, რომ ან გაკოტრდა, ან დღეს ვინც წარმოადგენს რუსთავი 2-ს, გაუშვეს იქიდან და დარჩა მხოლოდ გამოშიგნული სახელი, მე არ ვიცი რა ღირებულების მატარებელი იქნება შემდგომში.

ერთია ისტორია და ამ ტელევიზიას ისტორია ძალიან მძიმე აქვს, არავინ არ არის მართალი ამ ისტორიაში. მე სულ მქონდა განცდა, რომ როდესაც ვიგებდი, რომ ვიღაცას წაართვეს, მქონდა ასეთი ნიშნის მომგებიანი ფრაზა, რომ როდესაც იწყება წართმევით, წართმევით გაგრძელდება. ისტორია სხვა არის და ამ ისტორიაში ეს ადამიანები არ გამოიყურებიან კარგად, რომლებიც აქტიურად იბრძვიან მფლობელობისთვის. მეორეა, სამართლებრივი გზა და მე არ მჯერა, რომ დღევანდელ საქართველოში სამართლებრივი გზით შეიძლება დაიბრუნოს ადამიანმა ოდესღაც წართმეული ქონება და ეს ქონება ძალზე სპეციფიკური რამ არის.

ის, რაც თავის დროზე იყო უმნიშვნელოვანესი, მე-12 დეციმეტრული სიხშირე, გადამცემი აპარატურა, რომლის გარეშეც მთელ საქართველოში მაუწყებლობა ვერ განხორციელდებოდა, სრულიად სხვა რამე იყო, სხვა ღირებულების იყო და ეს მიითვისეს მაშინ რუსთავი 2-ის დამფუძნებლებმა ჩვენგან. დღეს აბსოლუტურად სხვა რეალობაა, ციფრული მაუწყებლობის პირობებში სრულიად სხვა განზომილებაა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ უნდა გავმიჯნოთ ისტორია, რომელიც ალბათ სჯობს, რომ იცოდეს საზოგადოებამ, რომ ვინმემ წამებულის მანტია არ მოისხას მხრებზე და მეორეა სამართლებრივი მხარე, რომელსაც ჩემი შეხედულებით აზრი არ აქვს.

# „ოპოზიციის ლიდერების დაჭერები სიტუაციას ვერ განმუხტავს“

## „ოცნება“ ბიზნესმენების დატერორებაზე გადავიდა“

შორენა მარსაგიშვილი

როგორ დაეხმარა საზოგადოება ხელისუფლებას რეპრესიების დაწყებაში, რა ჩაიფიქრა ეკა ბესელიამ, რა შეცდომას უშვებენ ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეები, რატომ ითხოვს ლევან ვასაძე მედიის გაკონტროლებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სახალხო მოძრაობის „შეაჩერე კორუფციის“ დამფუძნებელი **ქეთევან ენუქიძე** ესაუბრება.

***– ანტისაოკუპაციო აქციებზე ეკა ბესელიას გამოჩენამ საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. ბევრი მიიჩნევს, რომ ის იქ ანტისაოკუპაციო მოძრაობის დისკრედიტაციისთვის მივიდა და ეს მან ივანიშვილის დავალებით გააკეთა. რას ფიქრობთ ამაზე?***

– არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბესელიამ ივანიშვილის თამაში ითამაშა და არც იმის მჯერა, რომ ამ ეტაპზე ის „ოცნების“ ლიდერის მიერ იმართება.

მე მგონია, რომ ის დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს. მას ვერ დაუმტკიცდა ის ბრალდებები, რაზეც ალეკო ელისაშვილი საუბრობდა. ასევე გაურკვეველია პოლიტპატიმრების სიის ისტორია. რამდენიმე გვართან დაკავშირებით სერიოზული კითხვის ნიშნები არსებობს და ეს საქმე სერიოზულად არის გამოსაძიებელი.

ჩნდება მარტივი კითხვა, რატომ აღმოჩნდნენ ბესელიას შედგენილ პოლიტპატიმართა სიაში ისეთი ადამიანები, რომლებმაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ გააგრძელეს კრიმინალური საქმიანობა.

ამ დღეებში ფეისბუქზე მემორიმ ამომიგდო, ორი წლის წინ, როგორ თითის ქნევით ელაპარაკებოდა ბესელია ანა დოლიძეს და ეჩხუბებოდა, რა უფლებით აძლევ პარლამენტის თავმჯდომარეს შენიშვნებსო.

***– მაშინ ბესელია კობახიძეზე ფრთებით იყო გადაფარებული, ახლა კი მასზე უთქმელი სიტყვა არ დაუტოვებია.***

– ეგ იმიტომ, რომ თავისი ვერ გაიტანა და ამის გამო შეიცვალა ფერი. ადამიანების და პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ძირითადად მაშინ იცვლის ფერს, როდესაც თავად შეექმნება ხოლმე პრობლემები. ბესელიას შემთხვევაშიც ასე მოხდა.

ბესელიაც გახდა უსამართლობის მსხვერპლი. რამდენიმე თვის წინ მას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გამოუქვეყნეს. ამის გადატანა ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, ეკამ ეს დარტყმა საკმაოდ ღირსეულად გადაიტანა.

აქციის ორგანიზატორებმა, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდები არიან, ჩათვალეს, რომ რახან ეკა ბესელია არის მსხვერპლი, მისთვის პოზიციის დაფიქსირების საშუალება მიეცათ.

***– მათ მიიწვიეს ბესელია აქციაზე?***

– მიწვევით არ მიუწვევიათ, ის იქ თავისი ინიციატივით მივიდა. ახალგაზრდებმა მას თავისი აზრის გამოთქმის უფლება მისცეს. მის მიმართ ბევრი კითხვა მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ისიც მსხვერპლია.

ამ ამბავშიც კი ის არასწორად იშვერს ვიღაცებისკენ ხელს და ამ საშინელ ფაქტსაც თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს.

***– რას გულისხმობთ?***

– ჟურნალისტი ელისო კილაძე დიდი ხანია გარკვევით მიანიშნებს, თუ რომელი პიროვნებები უნდა დაიკითხონ ამ საქმეზე. ამას კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს. არ გამოვრიცხავ, რომ ბესელიამ იცის კიდევაც, თუ ვინ აუტვირთა პირველმა ეს ვიდეო. მე პირადად ამ საქმეში ბინძური პოლიტიკური თამაშის კვალს ვხედავ.

ბესელიას უნდა, რომ ისრები სხვებისკენ გადაიტანოს. ჩემთვის არც ის სხვები არიან ანგელოზები, ჩვეულებრივი მოძალადეები არიან, მაგრამ მთავარი ხომ სიმართლის დადგენაა.

ბესელია ახლა თავის პარტიას ქმნის და ახალ პოლიტიკურ თამაშს იწყებს. იმისთვის, რომ კვლავ პოლიტიკურ ზედაპირზე იტივტივოს, ცდილობს, განიწმინდოს.

აი, ამ მიზნით მივიდა ის აქციაზე. არა მგონია, რომ მიზანი ანტისაოკუპაციო მოძრაობის დისკრედიტაცია იყო, თუმცა მისმა იქ გამოჩენამ ამ მოძრაობას მნიშვნელოვნად დაარტყა.

***– დარტყმაში რას გულისხმობთ?***

– მისი გამოჩენის შემდეგ რამდენიმე დღე აქციებზე ხალხის რაოდენობა მკვეთრად იყო შემცირებული.

მართალია, ძალიან ბევრი ცდილობს, მაგრამ ანტისაოკუპაციო მოძრაობის დისკრედიტაცია ვერ მოხდება. მიზეზი ძალიან მარტივია – აქამდე მთავარი მოთხოვნა გახარიას გადადგომა იყო. შემოდგომაზე აქციები რომ განახლდება, ეს აღარ იქნება მთავარი მოთხოვნა.

„ქართული ოცნება“ ისეთ საშინელებებს აკეთებს, რომ სულ სხვა მოთხოვნებით გამოვა ხალხი ქუჩაში.

იმის იმედიც ნურავის ექნება, რომ რაკი რუსთაველზე ხალხი აღარ დგას, საპროტესტო ტალღა მინელდა. ამ მუხტს სექტემბერში დაინახავენ.

***– ამაში დარწმუნებული ხართ?***

– რა თქმა უნდა. სექტემბრისთვის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზრდება. ეროვნული ვალუტა უფასურდება. სიღარიბე აქამდეც იყო, მაგრამ ახლა კიდევ უფრო გაიზარდა. ხალხს კისერზე ყულფი ჩამოაცვეს. ამას ქართველი ადამიანი არ მოითმენს.

საქართველო არ არის რუსეთი, რომ აქ ხელისუფლებას ყველაფერი გაუვიდეს. მიშა სააკაშვილი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ბევრ რამეს აკეთებდა. მისი მმართველობის დროს საქართველო მნიშვნელოვნად წავიდა წინ, მაგრამ როცა ძალადობაზე გადავიდა და დარბევები დაიწყო, ხალხმა ეს არ აპატია.

ახლანდელი ხელისუფლება სრულიად უუნარო და რუსეთთან მიბმულია. ქვეყნისთვის არაფერს არ აკეთებენ და ამ დროს ხალხს თვალებს თხრიან. ამას ქართველი კაცი არავის არ აპატიებს.

დამიჯერეთ, თვალების დათხრა იყო მიზანმიმართული და მას შეგვიძლია სიმბოლური დატვირთვაც კი მივცეთ.

ამის გაკეთება იყო ძალიან დიდი უგუნურება, მით უმეტეს, რომ ძალა ახალგაზრდების წინააღმდეგ გამოიყენეს. ახალგაზრდებთან ბრძოლა კი არც ერთ ხელისუფლებას არ მოუგია. ვერც ესენი მოიგებენ.

სექტემბრისთვის ბევრი რამე შეიცვლება. ახლა გონიერმა ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს პროცესი მშვიდობიანად დასრულდეს.

ოპოზიცია არ უნდა წამოეგოს ხელისუფლების პროვოკაციებზე, რომლის ამოცანა ოპოზიციის წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობაა. სხვანაირად სიტუაციას ვერ განმუხტავს.

***– სიტუაციას ოპოზიციის ლიდერების განეიტრალებაც ვერ განმუხტავს?***

– ვერ განმუხტავს.

***– ლიდერების განეიტრალებაზე რატომ გადავიდნენ? ზემოთ თქვენ ბესელიას პოლიტპატიმრები ახსენეთ და ამ სიით ციხიდან გამოვიდა ქართული სახელმწიფოს მტერი ვაგან ჩახალიანი. უხერხული არაა, ჩახალიანი თავისუფალი იყოს, ნიკა მელიას სამაჯური ჰქონდეს შებმული, ოქრუაშვილი ციხეში იჯდეს, ხოლო ვატო გელაშვილი შინაპატიმრობაში?***

– უხერხული როგორ არ არის. ოპოზიციის ლიდერების განეიტრალებით ხელისუფლება საბოლოო ჯამში შედეგს მაინც ვერ მიიღებს. ამაში სექტემბერში თავადაც დარწმუნდებიან.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გადავიდა ხელისუფლება ლიდერების განეიტრალებაზე, ეს ჩვენი, საზოგადოების ბრალია. საზოგადოების ბრალია ისიც, რომ 20-21 ივნისის ღამის აქციის მონაწილეებს აკავებენ.

კი არ აკავებენ, გრაფი დრაკულა რომ იტაცებდა, ხალხს ისე იტაცებენ. აქციის ღამესაც დააკავეს რამდენიმე ასეული ადამიანი, მაგრამ ამას საზოგადოების მხრიდან მყისიერი რეაქცია მოჰყვა და 300-ზე მეტი ადამიანი ძალიან მალე გაათავისუფლეს.

ახლა კი დაკავების ტალღა წავიდა და იცით, რატომ? ვიღაცამ სცადა ნიკა მელიას დამუნათება, რომელმაც იმ ღამეს განაცხადა, პარლამენტში შევდივართ მშვიდობიანადო.

დიდი სიამოვნებით დააკავებდა ხელისუფლება ვატო გელაშვილსაც, მაგრამ ის სახალხო მოძრაობა „შეაჩერე კორუფციას“ წარმომადგენელია და ბევრი კორუფციული სქემა აქვს გაშიფრული.

მის პატიმრობაში დატოვებას ხალხი შურისძიებად აღიქვამდა. მხოლოდ ამიტომ გამოუშვეს ვატო შინაპატიმრობაში, თორემ სიამოვნებით ჩააგდებდნენ მას ციხეში.

ოქრუაშვილის დაკავება კი მთლიანად საზოგადოების ბრალია. აშკარაა, რომ ხელისუფლებამ თავიდან მისი დაკავება ვერ გაბედა, მაგრამ მერე ხალხის რეაქცია რომ ნახა, დააპატიმრა.

***– ხალხის რეაქციაში რას გულისხმობთ?***

– ირაკლის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე სოციალურ ქსელში მის წინააღმდეგ საშინელი კამპანია დაიწყო. ფეისბუქზე ყველა ვკითხულობდით იმ ცინიკური სტატუსების ნიაღვარს, რაც მის წინააღმდეგ წამოვიდა.

ხელისუფლებამ დაინახა, რომ თუ მას დააკავებდნენ, ხალხი ქუჩაში არ გამოვიდოდა და დააკავეს კიდევაც. სოციალურ ქსელს ცოტა ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.

პოლიტიკური დევნის დაწყება ანტისაოკუპაციო მოძრაობასაც უნდა გაეპროტესტებინა სათანადოდ. ეს მოძრაობა პოლიტიკური კომპლექსისგანაც უნდა გათავისუფლდეს.

დღეს ყველას, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებს, ნაციონალებთან კავშირში სდებენ ბრალს. ამიტომაც ამბობენ, აპოლიტიკურია ჩვენი აქციაო.

შემოდგომაზე ვითარება ამ მხრივაც შეიცვლება. შედეგის მიღწევა თუ გვინდა, უნდა შეიცვალოს.

ქართველები კანონმორჩილი ხალხი ვართ. უამრავი აქცია ჩატარდა თბილისში, მაგრამ ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილა. ეს ტრადიცია არც მომავალში შეიცვლება, მაგრამ ხელისუფლება ნამდვილად შეიცვლება.

ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ამდენ წნეხს ვერც ხალხი და ვერც ბიზნესი ვერ გაუძლებს. ეს წლები სულ გვესმოდა, რომ ნაციონალები ბიზნესმენებს ატერორებდნენ. ეს ასეც იყო, მაგრამ სურათი არც ახლა შეცვლილა უკეთესობისკენ.

***– „ოცნებაც“ ატერორებს ბიზნესმენებს?***

– ატერორებს. ძალიან ბევრ ბიზნესმენთან მაქვს შეხება და მათგან ბევრი ამბავი მაქვს მოსმენილი. ბიზნესზე ზეწოლა რომ არ იყოს, ბიზნესმენი მოინდომებს, მმართველ პარტიას 400.000 ლარი შესწიროს? ეს გამორიცხულია.

ისეთ დღეში არიან, ლამის არის ქვეყნიდან გაიქცნენ, ან ბიზნესზე უარი თქვან. რაც ქვეყნისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ქვეყანა თავისუფლად გაძლებს 1.000 პოლიტიკოსის გარეშე, მაგრამ 1.000 ბიზნესმენის გარეშე ძალიან გაუჭირდება. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ქვეყანა საქართველოსავით გაჭირვებულია.

არც თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა ჩაივლის ასე. ხელისუფლებამ ფაქტიურად ახალგაზრდობას გამოუცხადა ომი. ახალგაზრდებთან ომი კი ჯერ არავის მოუგია.

***– ლევან ვასაძემ ხელისუფლებას მედიის მკაცრად გაკონტროლება მოსთხოვა. არის ვარაუდი, რომ ეს განცხადება მან „ოცნების“ დაკვეთით გააკეთა. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ლევან ვასაძის ფაქტორს ძალიან თავისებურად ვაფასებ. ის გახლავთ გროტესკული ფიგურა, რომელსაც სერიოზულად არავინ აღიქვამს. მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

ეს კაცი საყურადღებოდ არ მიმაჩნია, მაგრამ ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ძალიან ცუდად გვიტრიალდება ხოლმე, წინ უძღვის ვასაძის განცხადებები.

***– ეს განცხადება ყურადღებას არ იმსახურებს?***

– არანაირ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მისი ნებისმიერი განცხადება უნდა დავაიგნოროთ.

***– ხელისუფლებამ იქნებ გამოიყენა და ნიადაგის მოსასინჯად გააკეთებინა ეს განცხადება?***

– გამორიცხული არაფერი არაა. ხელისუფლებაში ვიღაცა შეიძლება ფიქრობს, რომ მას საზოგადოების თვალში რაიმე წონა აქვს. დანამდვილებით იმის თქმა შემიძლია, რომ ივანიშვილი სერიოზულად მას ნამდვილად არ აღიქვამს.

მან ძალიან კარგად იცის, რომ ვასაძე ჩვეულებრივი მათხოვარია, რომელიც აგროკრედიტებითაც კი სარგებლობს. თავისი ბიზნესის განვითარებისთვის გაჭირვებულ ადამიანებს პროცენტებს ახდევინებს.

***– ეს ალბათ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს, რომ ოფიციალურ მილიონერს გაჭირვებულები უხდიან კრედიტის პროცენტს.***

– მაგიტომაც ვამბობ, რომ მაგ კაცის განცხადებებზე რეაგირება არ უნდა მოვახდინოთ. დავაიგნოროთ და თავის ამაყ სიმარტოვეში დავტოვოთ.



### ქეთევან ენუქიძე: „ლევან ვასაძე უნდა დავაიგნოროთ და თავის ამაყ სიმარტოვეში დავტოვოთ“



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ: 598-43-98-57.**

# მამუკა ბახტაძეს მაია ცქიტიშვილი შეცვლის

## მთავრობაში საკადრო ცვლილებებისთვის ემზადებიან

შორენა მარსაგიშვილი



მცხუნვარე პოლიტიკური ზაფხულით გადაღლილი „ქართული ოცნება“ შემოდგომაზე სამთავრობო კარუსელის დატრიალებას აპირებს. „ახალ თაობას“ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, რომ, მინისტრების გარდა, რამდენიმე გუბერნატორიც შეიცვლება.

ჩვენი წყაროს ინფორმაციითვე, საკადრო ცვლილებებზე შს მინისტრი გიორგი გახარია იზრუნებს, თუმცა პრემიერი სხვა გახდება.

სამთავრობო კულუარებიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, პრემიერის თანამდებობას მაია ცქიტიშვილი დაიკავებს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია.

„ოცნებაში“ ამბობენ, რომ ის მამუკა ბახტაძის მსგავსი მორჩილი პრემიერი არ იქნება და უფრო თავისუფლად იმოქმედებს. მმართველ გუნდში უკვე ახლავეა გარკვეული, რომ ის ძალოვან უწყებებს ვერ შეეხება. ეს ფრონტი გასაკონტროლებლად კვლავ გიორგი გახარიას დარჩება, რომლის გადაყენებასაც ბიძინა ივანიშვილი ცოცხალი თავით არ თანხმდება.

გახარია ძალოვნებს, პროკურატურის ჩათვლით, გააკონტროლებს. მის კონტროლს მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო არ დაექვემდებარება. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ამბობს, რომ თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობს და მას ვერავინ შეეხება.

რამდენიმე ცვლილება განხორციელდება ეკონომიკურ გუნდში. სამთავრობო კულუარებში ღიად ამბობენ, რომ თანამდებობას დატოვებს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა. პოსტიდან წასვლა შეიძლება ფინანსთა მინისტრსაც მოუწიოს.

ვინ დაიკავებს ამ თანამდებობებს, ჯერ ცნობილი არაა. არც ის არის გარკვეული, თუ ვინ გახდება ინფრასტრუქტურის მინისტრი. ცქიტიშვილის გაპრემიერების შემთხვევაში ეს პოსტიც ვაკანტური იქნება.

რაც შეეხება ჯერ ისევ მოქმედ პრემიერს, მმართველ გუნდში ამბობენ, რომ ის სასწავლებლად წავა საზღვარგარეთ. ჩვენთან ეს მიღებული პრაქტიკაა – ჯერ უმაღლეს თანამდებობებს იკავებენ და მერე მიდიან სასწავლებლად.

შეიცვლება რამდენიმე გუბერნატორიც. შესაცვლელ გუბერნატორთა სიაშია ალექსანდრე მოწერელიაც, რომელიც ამ მხარეში რწმუნებულად გასულ წელს დაინიშნა და ის გიორგი გახარიას კადრად ითვლება.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ეს ცვლილება გახარიას კურთხევით ხორციელდება.

სამთავრობო ცვლილებების პარალელურად „ოცნებაში“ ყოფილი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის შემობრუნებასაც ელოდებიან. მის მოსალოდნელ გააქტიურებაზე „ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა.

მაშინ მმართველ პარტიაში გვითხრეს, რომ მან ბიძინა ივანიშვილთან სიტუაცია დაალაგა და მისი ნებართვით ქმნიდა პარტიას. მის სავარაუდო პოლიტპარტნიორად მამუკა ხაზარაძე მიიჩნევა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ბოლო დროს ხაზარაძეს თავს გადახდა, კვირიკაშვილის და ივანიშვილის შერიგება წარმოუდგენელი იქნება.

ამის მიუხედავად, „ოცნების“ ლიდერი ყოფილ პრემიერს იოლად ველარ მოერევა. ის დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს. დასავლეთთან კი ივანიშვილს ისედაც გაურთულდა ურთიერთობა და დაუკრეფავში გადასვლას მოერიდება.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „ვითიბი ბანკი“ კგბ-სა და დღევანდელი ფსბ-ს კონტროლის ქვეშაა“

## გავრილოვი არის ამ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გულიკო ბალაძე



პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ ამერიკა ცდილობს საქართველო რუსეთს მოსწყვიტოს. რას ნიშნავს ლავროვის განცხადება? მას მეხსიერება „ღალატობს“, ვერ იაზრებს, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუ გვემუქრება? რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ლავროვის განცხადებას?***

– ბოლო დროს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების სიტყვიერი შემოტევები საქართველოზე ძალიან გახშირდა. კრემლი ძალიან გაიმართა წელში ბოლო დროს ქვეყანაში დატრიალებული უბედურებების შემდეგ.

***– უბედურებებში რას გულისხმობთ?***

– მთელს იმ არასასურველ პროცესებს, რაც იყო ბოლო დროს საქართველოში, დაწყებული გავრილოვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩახტომით – პროვოკაციით, გაგრძელებული „რუსთავი-2-ის“ პროვოკაციით.

როგორც ერთ-ერთმა ამერიკელმა ძალიან ცნობილმა ექსპერტმა (რომელიც რუსეთში მუშაობდა, თავის დროზე პუტინის მრჩეველიც იყო და ყველაფერი კარგად იცის) თქვა, ყველაფერი ერთი სქემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც რუსეთში დაიგეგმა.

პუტინი ძალიან კმაყოფილია საქართველოში მომხდარით, ძალიან კეთილი ბიძიას როლი ითამაშა და თქვა, ჯერჯერობით, ბორჯომსა და ღვინოზე ემბარგოს არ დავაწესებო, ამას მიაყოლა: ეს არ ნიშნავს იმას, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს შემადგენლობაში როდესმე დაბრუნდება, საქართველოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიაო. მოკლედ, პუტინმა რაღაც სიგიჟე თქვა. შემდეგ რამდენიმე განცხადება გაკეთდა და სცენაზე ლავროვიც გამოჩნდა. მან თქვა, რომ თურმე ამერიკა, დასავლეთი აიძულებს საქართველოს, მისკენ წავიდეს.

რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ დასავლეთისკენ სწრაფვა საქართველოს მოსახლეობის არჩევანია. საქართველოს არჩევანია განვითარებულ, ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაცია. საქართველოს უნდა, უსაფრთხოების იმ სისტემაში მოექცეს, რომელიც განაპირობებს ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მის უსაფრთხოებას. ეს არის ყველა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი.

რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, აგრესორი რომ არ ყოფილიყო, საქართველოს მიმართ აგრესიული პოლიტიკა რომ არ ეწარმოებინა და ის არ ჩაედინა, რაც ჩაიდინა, მაშინ საქართველოს რუსეთთან საუკეთესო ურთიერთობები ექნებოდა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და დიპლომატიური კუთხით.

პატარა ქვეყანამ თავი რაღაცნაირად ხომ უნდა დაიცვას. რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა აიძულებს საქართველოს ნატოსკენ გაიხედოს, ევროკავშირის სამხედრო სისტემაში (თუ შეიქმნა) იყოს და აგრესიულ მეზობლებს ასე დააღწიოს თავი.

თუ რუსეთს უნდოდა საქართველოსთან ურთიერთობა, ძალადობრივ ქმედებებს არ ჩაიდენდა. ის საქართველოს წინააღმდეგ სისტემატიურად აწყობდა პროვოკაციებს და სპექტაკლებს, რომელიც ახლაც დაიდგა. ბევრი რამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის.

***– რა არ იცის საზოგადოებამ?***

– საზოგადოებამ იცის, ვინ არის გავრილოვი, საერთოდ, და რა კავშირი აქვს მას საქართველოს წინა ხელისუფლებასთან?

***– წინა ხელისუფლებასთან გავრილოვს რა კავშირი აქვს, არ ვიცი, მაგრამ ექსპერტმა მითხრა, გავრილოვი რუსული დაზვერვის აგენტიაო.***

– მაგას, რა თქმა უნდა, ასე იქნება. საქართველოში „ვითიბი ბანკი“ რომ არის, სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა 2005 წელს შემოიყვანა. „ვითიბი“ ყველაზე მსხვილი, კომერციული სახელმწიფო ბანკია.

***– რუსეთის?***

– დიახ, „ვითიბი“ თავისი აქტივების სიდიდით, რუსეთში მეორე ბანკია. საბჭოთა კავშირის დროს იყო ვნეშტორგბანკი, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი გახლდათ კგბ-ს მფარველობით მოქმედი. გავრილოვი არის „ვითიბი ბანკის“ სახელმწიფო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

***– ამით რის თქმა გინდათ? 2005 წელს თუ შემოიყვანეს, ნაციონალებს გავრილოვთან კავშირი ჰქონდათ?***

– არ ვიცი, ნაცებს გავრილოვთან უშუალო კავშირი ჰქონდათ თუ არა. თუმცა, სურათები არის ინტერნეტსივრცეში წერეთლისა და გავრილოვისა ერთად. მაგას მნიშვნელობა არ აქვს. ნაციონალები აკეთებენ აქცენტებს გავრილოვზე და უნდათ გამოკვეთონ, თითქოს რუსული პროვოკაცია კი არ იყო, საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა.

სინამდვილეში, „ვითიბი ბანკი“, რომელიც კგბ-სა და დღევანდელი ფსბ-ს კონტროლის ქვეშაა, რუსეთის სახელმწიფო ბანკია და მის სამეთვალყურეო საბჭოში არის გავრილოვი. ეს ბანკი საქართველოში ნაციონალებმა შემოიყვანეს – ეს სისტემა მათ შექმნეს. ამით კიდევ ერთხელ საფუძველი ჩაუყარეს იმ პროვოკაციას, რომელიც შესაძლებელი იყო საქართველოში განხორციელებულიყო.

***– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გავრილოვი რატომ მიუშვით პარლამენტის თავმჯდომარის სკამამდე? ამ ღონისძიების პარლამენტში ჩატარება რატომ დაიგეგმა?***

– საერთოდ, იმ მართლმადიდებლური რაღაც ორგანიზაციის საქართველოში ჩატარების გადაწყვეტილება თავიდანვე არ უნდა მიღებულიყო, ანუ საქართველოში არ უნდა ჩატარებულიყო.

***– რატომ არ უნდა ჩატარებულიყო? გავრილოვმა თქვა, ორი წელი გვეხვეწებოდნენ, საქართველოში რომ ჩაგვეტარებინაო.***

– არა მგონია. გავრილოვი რას იგონებს, არ ვიცი, მაგრამ იმ ორგანიზაციაში თავმჯდომარეობა როტაციითაა – ხან – საქართველოა, ხან – საბერძნეთი, ხან – რუსეთი და ა.შ. ორგანიზაციაში ბევრი ქვეყანაა. წელს რუსეთი იყო პრეზიდენტი, თორემ ამ ორგანიზაციაში მთავარი საბერძნეთია. მაგ ორგანიზაციას საბერძნეთი კურირებს და სხდომაც მის წარმომადგენელს უნდა წაეყვანა.

თუ დაუშვებ, რომ იმ ორგანიზაციის სხდომა საქართველოში უნდა ჩატარდეს, პრეზიდენტ ქვეყანას ვერ შეზღუდავ, მაშინ რაღაც გარკვეული მიზეზი უნდა გქონდეს. მიზეზი კანონით უნდა გქონდეს გამყარებული.

რადგან ნაცებმა დაუშვეს და „ვითიბი ბანკი“ შემოიყვანეს საქართველოში, გავრილოვი კი სამეთვალყურეო საბჭოშია, როგორ უნდა შეეზღუდათ მისთვის საქართველოში შემოსვლა? მით უმეტეს, ოკუპაციის შესახებ კანონი არ ჰქონდა დარღვეული.

***– სხვა მიზეზებიც მოიძებნება, მაგრამ იგივე ბათუმში შეიძლებოდა ჩაეტარებინათ, სადმე დარბაზში. თავიდან ავიცილებდით ამხელა პროვოკაციას და მის ცუდ შედეგებს.***

– გავრილოვმა მოაწყო პროვოკაცია. მას არ ეკუთვნოდა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომა, რადგან წამყვანი საბერძნეთის წარმომადგენელი გენერალური მდივანი უნდა ყოფილიყო. მას რაც უნდა პროვოკაცია მოეწყო, თავდაყირა რომ დამდგარიყო ტრიბუნზე, არაფერი მოხდებოდა, წინასწარ მომზადებული სცენარი რომ არ ყოფილიყო. ვიღაცას პროტესტის ტალღა უნდა აეგორებინა. გავრილოვმა პროვოკაცია მოაწყო.

პროვოკაციას ჰქონდა დასაყრდენი. დასაყრდენი იყო ნაცმოძრაობა, რომელმაც ხალხი გააბრიყვა, ახალგაზრდობა და პარლამენტზე შტურმის განსახორციელებლად მიუშვეს. თვითონ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოუწოდებდნენ, შემდეგ იქიდან გაიპარნენ და ახალგაზრდობა შეატოვეს ამ სიტუაციას, რასაც მოჰყვა უბედურება. დამისახელეთ იმ პარტიების წარმომადგენლებიდან, ვინც ხალხს პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებდა, რომელს აქვს ზიანი მიყენებული.

***– წლების განმავლობაში „ოცნებისაგან“ გვესმოდა, რომ ნაცების განზრახვა რევოლუციისა და გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსვლაა. ნაცებიც საუბრობდნენ რევოლუციაზე. ამიტომ ამ შემთხვევაში ხელისუფლებას პასუხისმგებლობა არ ეკისრება? მიზეზი რატომ მისცეს ნაციონალებს?***

– სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რუსეთის სპეცსამსახურები დასავლეთის ქვეყნებში რას აკეთებენ, როგორ ერევიან მათ საქმეებში. რუსეთი დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყანაა, აგრესიული სახელმწიფოა და ცდილობს ყველგან არეულობა შეიტანოს. საქართველო, რომელიც მისი მეზობელია, ყელში აქვს გაჩხერილი (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თავისი გეოპოლიტიკური ფუნქციის, ნავთობსადენების, გაზსადენების, ახალი აბრეშუმის გზის, ანაკლიის პორტის გამო, წარმოიდგინეთ, საქართველოში რა გავლენები შეიძლება ჰქონდეს და როგორი სცენარები შეიძლება ჰქონდეს დაგეგმილი.

ხომ ნახეთ, გავრილოვის ამბავს როგორი პროვოკაცია მოჰყვა, რომელიც სპეციალურად იყო დაგეგმილი. ამას ადასტურებენ ცნობილი საერთაშორისო ექსპერტები. ამ დაგეგმილ პროვოკაციაში ნაცმოძრაობა მონაწილეობდა, რომლის მიზანი იყო, ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობა, პარლამენტში შეჭრა და პოლიტიკური კრიზისის შექმნა. შემდეგ ამას მოჰყვებოდა სისხლისღვრა.

***– როგორ?***

– ქუჩაში უამრავი ადამიანი გამოვიდოდა. ის ხალხი, რომელიც ნაცმოძრაობამ აწამა, გააუბედურა, ქონება წაართვა. ამიტომ საშინელება მოხდებოდა. კატასტროფა, რაც საქართველოს წერტილს დაუსვამდა. ეს იყო რუსეთის ინტერესი. შს სამინისტრომ შეძლო ამ დიდი კატასტროფის შეჩერება და დაგეგმილი დიდი უბედურების – ქვეყნის დანგრევის შეჩერება.

***– თუმცა, სუფთად მაინც ვერ გამოვიდა.***

– ვერც გამოხვალ. პარიზის აქციები რომ არის, უამრავი დასახიჩრებულია. თუმცა, საეჭვო მომენტებიც არის.

***– რა საეჭვო მომენტებია?***

– ამ პროცესის დროს სააკაშვილი გამოდიოდა და ამბობდა, მე კონტაქტი მაქვს სპეცნაზელებთანო. ამიტომ ესეც გამოსაძიებელია. იმ პოლიციელების, სპეცნაზელების საქციელში, რომლებმაც გადააჭარბეს თავის უფლებამოსილებას, რაიმე საეჭვო იყო თუ არა.

***– ეკონომიკურ დამოკიდებულებას ხომ არ გულისხმობდა ლავროვი, როცა თქვა, რომ ამერიკას სურს, საქართველო რუსეთს მოწყვიტოსო?***

– მოგეხსენებათ, ნაციონალებიდან და უფრო ადრეული პერიოდიდან მოყოლებული, რუსეთს ხელში რამდენი საწარმო და ენერგეტიკული ობიექტები ჩაუგდეს ხელში.

***– ეკონომიკურ ბერკეტებს რუსეთი პოლიტიკისთვის იყენებს.***

– რა თქმა უნდა. რადგან პირველ ვარიანტში არ გამოუვიდათ რუსეთის უშიშროებას და გავრილოვს ერთად, რაც იყო საქართველოში საშინელი დესტაბილიზაციის მოწყობა.

# სუსის წარმომადგენლები ევროპოლში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნანა ბერიძე, ანტიკორუფციული სააგენტოს, კონტრდაზვერვის დეპარტამენტისა და საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები ევროპოლში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ვიზიტი განხორციელდა ევროკავშირის პროექტის: „ტექნიკური დახმარება საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდასაჭერად“ ფარგლებში. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოსა და ევროკავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა.




ვიზიტის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები ევროპოლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ოდრიჩ მარტინუს შეხვდნენ. ასევე გაიმართა შეხვედრა ევროპის კონტრტერორისტული ცენტრის უფროსთან მანუელ ნავარეტე პანიაგუასთან.

შეხვედრებზე სუს-ის წარმომადგენლები გაეცნენ ევროპოლის და მისი სტრუქტურული დანაყოფების, მათ შორის ევროპის მძიმე ორგანიზებული დანაშაულის ცენტრისა და ევროპის კონტრტერორისტული ცენტრის საქმიანობის მიმართულებსა და შესაძლებლობებს, ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებს. მხარეებმა განიხილეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის და ასევე ფინანსური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

2017 წლის 4 აპრილს, საქართველოსა და ევროპოლს შორის ხელი მოეწერა ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რის შემდეგაც საქართველო ევროპოლის პარტნიორი სახელმწიფო გახდა.

2018 წლის მარტში, ევროპოლთან ხელი მოეწერა უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმს და მეკავშირეობის შესახებ შეთანხმებას. საქართველოსა და ევროპოლს შორის დადებული ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაზღვრულია როგორც ერთ-ერთი კომპეტენტური უწყება.

# კრემლის სკანდალური მარცხი იტალიაში

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო და უკრაინა, რომლებიც ევროატლანტიკურ გეზს ადგანან, ითვლებიან ერთი და იგივე ბანაკის წევრებად და კრემლის მოწინააღმდეგეებად.

რაც დრო გადის, საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებების, ასევე აქტიური საზოგადოების პოზიციები ერთმანეთს სცილდება.

მოსკოვის მიტინგის სასტიკად დარბევამ, რომლის შედეგადაც ოპოზიციის ლიდერები მოიწამლნენ, დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია.

პუტინის მოწინააღმდეგე მომიტინგეებს და თავისუფალი არჩევნების მსურველებს მოსკოვში სოლიდარობა გამოუცხადა საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის იყვნენ უკრაინელები.

ანტისაოკუპაციო აქციების მონაწილეებს თუ არ ჩავთვლით, საქართველოში ამ დღეებში სხვა დღის წესრიგი იდგა: ოპოზიციის ნაწილი საქართველოში დიქტატურას და რეპრესიების დაწყებას აპროტესტებდა, ნაწილი კი რუსეთთან საჩქარო დიალოგს მოითხოვდა.

უკრაინაში ანტიპუტინური განწყობა და პუტინის ოპოზიციისადმი მხარდაჭერა იგრძნობოდა. უკრაინაში აცხადებენ, რომ კრემლმა უკრაინა ვერ გადახარშა. მას ისევ უნდა უკრაინის დაბრუნება, ან მასზე შურისძიება. რუსეთის ოფიციოზი ნიშნის მოგებით აღნიშნავდა, რომ უკრაინელები მზად არიან, რუსეთის ოპოზიციას დაეხმარონ, ქართველები კი მრავალრიცხოვან აქციებზე რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგს მოითხოვენ.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ სამხრეთ კავკასიაში, გამძაფრებულია გეოპოლიტიკური ბრძოლა მოთამაშეებს შორის.

ამ ფონზე გააქტიურდნენ და უფრო ხისტები გახდნენ კრემლის ღია და ფარული მიმდევრები. ისინი ხალხს აშინებენ რუსეთიდან შემოსავლებისა და ახალი ტერიტორიების დაკარგვით.

პროპუტინისტურ ძალებს, დიდი ალბათობით, შრომა ამაოდ ჩაუვლით – მოვლენები სწრაფად და რუსეთისთვის საზიანოდ იცვლება. მალე რუსეთში საკადრო რეფორმასაც ვარაუდობენ.

კრემლმა ერთი დიდი მარცხი იტალიაშიც იწვნია. „ახალი თაობა“ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ იტალიის ვიცე-პრემიერი, შს მინისტრი მატეო სალვინი შემჩნეულია რუსეთთან გარიგებაში. იყო ინფორმაცია მისი ნაციონალისტური ანტიემიგრანტული პარტია „ლიგის“ კრემლიდან დაფინანსებაზე.

სალვინი მოითხოვს, რომ ევროკავშირმა გააუქმოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ.

ორი დღის წინ დოკუმენტურად დადასტურდა, რომ სალვინი მოსკოვიდან დირექტივებს იღებს. გახმაურდა იტალიაში რუსეთის ელჩის წერილი სალვინისადმი. ელჩი კრემლის სახელით უკრძალავს მას გაფიცვებს იტალიის რუსეთის კუთვნილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. მიმართვაში ნათქვამია, რომ გაფიცვები აზიანებს „ლუკოილის“ რეპუტაციას.

პუტინის პოზიციის შესუსტება მარტო მისი რეიტინგის დაცემაში არ გამოიხატება. თუ აქამდე უცხოელი და რუსი ექსპერტები იმას არკვევდნენ, თუ რა გზით გააგრძელებს პუტინი რუსეთის მართვას 2024 წლის შემდეგ, ახლა ძალაუფლების ვადამდე გადაბარებაზე ალაპარაკდნენ.

2024 წელს რუსეთის ფედერაციაში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებია. მოქმედი კონსტიტუციით პუტინს არჩევნებში ზედიზედ მესამე ვადით კენჭისყრის უფლება არა აქვს. მას პრეზიდენტობა შეეძლება მაშინ, თუ კონსტიტუცია შეიცვალა, ან რუსეთი ბელარუსთან ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა.

რუსეთში შექმნილი სიტუაცია კრემლისგან დამოუკიდებელ ანალიტიკოსებს აფიქრებინებს, რომ შესაძლოა ამოქმედდეს რუსეთში ძალაუფლების გადაბარების სცენარი, რომლითაც, პუტინი პრეზიდენტი აღარ იქნება. არ არის გამორიცხული, ეს 2024 წლამდე მოხდეს.

პოლიტოლოგი სტანისლავ ბელკოვსკი განიხილავს ხელისუფლების ტრანზიტის სქემას, რომლითაც პუტინი ჩაიბარებს რუსეთის უზენაეს სასამართლოს; რუსეთის პარლამენტის ზედა პალატას (ფედერაციის საბჭოს) გაეზრდება უფლებები და მისი სპიკერი გახდება ახლანდელი თავდაცვის მინისტრი შოიგუ. მას მინისტრის პოსტზე ჩაანაცვლებს ალექსეი დიუმინი, რომელიც ამჟამად ტულის ოლქის გუბერნატორია.

იგეგმება საგარეო მინისტრის შეცვლაც. ლავროვს, რომელსაც 2020 წლის მარტში 70 წელი უსრულდება, ჩაანაცვლებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვაინო.

# ოქრუაშვილის ადვოკატებმა მისთვის პატიმრობის შეფარდება გაასაჩივრეს




თავდაცვის ყოფილი მინისტრისთვის, ირაკლი ოქრუაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისმა ადვოკატებმა გაასაჩივრეს.

როგორც ოქრუაშვილის უფლებადამცველები აცხადებენ, სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია და ყოფილი მაღალჩინოსნის მიმალვის საფრთხე არ არსებობს, ამიტომ საპატიმრო სასჯელის გამოყენება გაუგებარია.

ირაკლი ოქრუაშვილის ოჯახის წევრები და თანაგუნდელები მის დაკავებას „რუსთავი 2"-თან დაკავშირებით დავას და პოლიტიკურ გეგმებს უკავშირებენ.

ის ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით 25 ივლისს დააკავეს. დანაშაული 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ოქრუაშვილი 20-21 ივნისის საქმეზე მოწმის სტატუსით, მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით 23 ივლისს გამოიკითხა.

ამ საქმეზე გამოიკითხნენ ოპოზიციის სხვა ლიდერებიც, მათ შორის ბაჩუკი ქარდავა, გიორგი ბარამიძე, გიგი უგულავა, ხატია დეკანოიძე და გუბაზ სანიკიძე.

# შაკო ტყემალაძის და გუგა კოღუას მკვლელობის საქმე დაიხურება?



პრაიმტაიმისთვის ცნობილი გახდა, რომ გურამიშვილის გამზირზე 24 ივნისს ორი ახალგაზრდის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება კვალიფიკაციას ოფიციალურად ცვლის.

საქმე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლზე გადაკვალიფიცირდება და, სავარაუდოდ, დაიხურება.

თავდაპირველად, ძიება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო, თუმცა შემთხვევის ადგილზე არსებული მტკიცებულებებით, განზრახ მკვლელობა არ დასტურდება.

გამოძიება საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ ბინაში მყოფ ერთ-ერთ ახალგაზრდას იარაღი გაუვარდა, რამაც მისი მეგობარი იმსხვერპლა, რის შემდეგ თავად სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

პრაიმტაიმის ცნობით, ბინაში ნაპოვნ იარაღზე სწორედ გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალა ამოვიდა. გამოძიების მიერ ასევე ამოღებულია მობილური ტელეფონები. ერთ-ერთი ვერსიით, მიმოწერა ადასტურებს, რომ ადგილზე მხოლოდ ორი პირი იმყოფებოდა, ვინაიდან მეგობრებმა შეხვედრა სწორედ სატელეფონო მიმოწერით შეათანხმეს.

შეგახსენებთ, რომ 24 ივნისს გურამიშვილის გამზირზე დატრიალებულ ტრაგედიას ორი ახალგაზრდა – შაკო ტყემალაძე და გურამ კოღუა, ემსხვერპლა.

# ლენტეხში სოკომ 1 ადამიანი მოკლა, 3 საავადმყოფოშია

ლენტეხში სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა, 3 მოწამლული ქუთაისში გადაიყვანეს.

ქუთაისის რეფერალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის დავით ჯანაშიას ინფორმაციით, 2 პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.



– ერთი პაციენტი, როგორც ვიცით, სოკოს მიღებიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა, ჩვენთან იმყოფება 2 პაციენტი, კრიტიკულ მდგომარეობაში, – განაცხადა დავით ჯანაშიამ.

ექიმის თქმით, უცნობია იმ სოკოს სახეობა, რომელიც მათ მიიღეს.

კიდევ ერთი მოწამლული დასავლეთის რეგიონალურ ცენტრშია მოთავსებული. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობაც მძიმეა. ის კლინიკაში გვიან ღამით გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო.

# მაშველებმა თუშეთში, ხევში გადავარდნილი სატვირთო ავტომობილი ამოიტანეს

## დაკარგული ახალგაზრდის ძებნა გრძელდება



გუშინ, 29 ივლისს, სპეციალური ტექნიკის საშუალებით, თუშეთში, ხევში გადავარდნილი სატვირთო ავტომობილი ამოიტანეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ფშაველი-აბანო-ომალოს უღელტეხილზე სამაშველო-საძიებო ოპერაცია უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. სპეციალური ტექნიკის საშუალებით ხევში გადავარდნილი სატვირთო ავტომობილი წყლის კალაპოტიდან გამოტანილია. შედეგად, მყვინთავებს მიეცათ საშუალება შეემოწმებინათ მანქანის ქვეშ არსებული წყლისქვეშა სივრცე.

დათვალიერების შედეგად, კიდევ ერთი მოქალაქე, რომელსაც მაშველები რამდენიმე დღეა ეძებენ, ამ ეტაპზე ვერ იქნა ნაპოვნი.

პარალელურად, სამაშველო ჯგუფების მიერ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მდინარის კალაპოტის 4 კილომეტრიანი მონაკვეთის დეტალური დათვალიერება.

ავტოსაგზაო შემთხვევა 27 ივლისს მოხდა.

ამ დროისთვის მაშველებმა შეძლეს 6 ადამიანის ცხედრის პოვნა და ხევიდან ამოყვანა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# უცხოეთის მოქალაქეს საქართველოში ნარკოტიკების შემოტანისთვის 18 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვაში და საქართველოში უკანონო შემოტანაში ბრალდებული უცხოეთის მოქალაქე ა.რ. დამნაშავედ ცნო.



სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ა.რ.-მ უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით 2522,870292 გრამი ნარკოტიკული საშუალება კოკაინის (მარილი) შემცველი ნივთიერება, რომელიც 2018 წლის 3 დეკემბერს, დღის საათებში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გამოვლით უკანონოდ შემოიტანა საქართველოში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.რ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება) და ამავე კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანა). ა.რ.-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

# ბათუმში ლიფტი ჩავარდა, 4 ადამიანი დაშავდა

## საზმაუს ოპერატორს თავში ქვა ჩაარტყეს

გუშინ, 29 ივლისს, ბათუმში, ერთ-ერთ მშენებარე კორპუსში ლიფტის შახტში ჩავარდნის შედეგად, 4 ადამიანი დაშავდა.

როგორც ბათუმის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრში „ინტერპრესნიუსს" განუცხადეს, 3 დაშავებული ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ერთი კი – ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში.




ექიმების ინფორმაციით, ოთხივე მათგანს ტრავმები ფეხის არეში აღენიშნებათ.

შემთხვევა ალმაშენებლის №2 ნომერში, ერთ-ერთ კორპუსში მოხდა.

სამშენებლო კომპანია „გრანდ სითის" წარმომადგენლებმა ადგილზე მისულ ოპერატორებს ქვები დაუშინეს.

ინციდენტის შედეგად საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორი ედნარ კოჩალიძე დაშავდა. დაზიანება მან თავის არეში მიიღო.

მოგვიანებით „გრანდ სითის" იურისტი მერაბ დიმიტრაძე მშენებარე კორპუსში მომხდარ ფაქტს გამოეხმაურა.

– მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, ასევე ლიფტის მონტაჟი. შესაბამის კომპანიასთან გვაქვს ხელშეკრულება, რომელიც ლიფტს ამონტაჟებს. ფეხით არ იმოძრავეს და გამოიყენეს ეს ლიფტი. პასუხისმგებლობის საკითხს რაც შეეხება, მიმდინარეობს გამოძიება. კომპანიის პოზიცია არის და იყო, რომ ლიფტი არ უნდა გამოყენებულიყო, ვიდრე ლიფტი ექსპლუატაციაში არ შევიდოდა, – განაცხადა მერაბ დიმიტრაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, მომხდარის გამო დაშავებულების მკურნალობის ხარჯებს კომპანია დაფარავს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

გამოძიება სსკ-ის 154-ე მუხლით მიმდინარეობს.

– აჭარის პოლიციის დეპარტამენტმა ალმაშენებლის ქუჩაზე მშენებარე კორპუსთან მომხდარ ინციდენტზე, რომლის დროს ადგილი ჰქონდა ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტს, გამოძიება სსკ-ის 154-ე მუხლით დაიწყო, – აცხადებენ შსს-ში.

# ახალქალაქში მკვლელობისთვის ძებნილი აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, ახალქალაქში ინტერპოლის მიერ ძებნილი პირი დააკავეს.

1989 წელს დაბადებული აზერბაიჯანის მოქალაქე – თ. გ. განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის ინტერპოლის წითელი ცირკულარით 2015 წლიდან იძებნებოდა.

ამჟამად, დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

# პოლიციამ თბილისში 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 2 პირი – 2001 წელს დაბადებული ი.ბ. და 1987 წელს დაბადებული გ.ბ. დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა თბილისში, ი.ბ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 60 აბი „სუბუტექსი" ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ასევე, თბილისში დააკავა პოლიციამ 1987 წელს დაბადებული გ.ბ., რომლის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების 169 აბი.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

# ბათუმში კორპუსის ლიფტის შახტში 2 წლის ბავშვი ჩავარდა

ბათუმში ალმაშენებლის №24 ნომერში ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ლიფტის შახტში 2 წლის ბიჭი ჩავარდა. ბავშვი პირველ სართულზე ლიფტის კართან იმყოფებოდა, კარი გაიღო და ბავშვი ჩავარდა. ბავშვმა სახის არეში დაზიანებები მიიღო. იგი ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრში არის გადაყვანილი.

ფაქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის" 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო სამშენებლო სამუშაოებისას წესების დარღვევას გულისხმობს.

## სროლა კალიფორნიის ფესტივალზე



გასტრონომიულ ფესტივალზე, რომელიც კალიფორნიის ჩრდილოეთ ნაწილში გაიმართა, უცნობმა პირმა სროლა ატეხა. სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, თუ რიგორ გარბოდა ფესტივალზე მოსული ხალხი.

დაიღუპა 3 და დაშავდა 12 ადამიანი.

## ირკუტსკში 1.000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა



მაშველებმა რუსეთის ირკუტსკის ოლქში ბოლო ერთი დღე-ღამის განმავლობაში 1.076 ადამიანის ევაკუაცია განახორციელეს, მათგან 615 ბავშვია. მათი ნაწილი დროებითი განთავსების პუნქტებში გადაიყვანეს. ამ ზომების მიღება მდინარეებში წყლის მატებისა და დატბორვის ახალი ტალღის გამო გახდა საჭირო.

წუხელ 147 საცხოვრებელი სახლი, 42 საკარმიდამო ნაკვეთი და 269 სახლის მიმდებარე ტერიტორია დაიტბორა.

## ნიგერიაში დაკრძალვას თავს დაესხნენ

### 65 ადამიანი დაიღუპა



ნიგერიაში, ბორნოს ოლქში ტერორისტების შეიარაღებული თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 65 ადამიანი დაიღუპა.

ტერორისტული დაჯგუფება „ბოკო ჰარამის" წევრები მშვიდობიან მოსახლეობას თავს მაშინ დაესხნენ, როცა ისინი დაკრძალვის ცერემონიალს ესწრებოდნენ.

## ვლადიმერ ყარა-მურზა უფროსი გარდაიცვალა




გარდაიცვალა ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ისტორიკოსი ვლადიმერ ყარა– მურზა უფროსი.

ყარა-მურზას, როგორც ტელეჟურნალისტის, კარიერა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. ის ოსტანკინოს პირველ არხზე მუშაობდა, შემდეგ გადავიდა ნტვ-ზე, სადაც საკუთარი პროგრამა მიჰყავდა.

ნტვ-ს გაზპრომის კონტროლის ქვეშ გადასვლის შემდეგ არხიდან წავიდა. მუშაობდა „რადიო თავისუფლებაზე".

ყარა-მურზა რუსეთის ოქროს ფრთის პრემიის ლაურეატია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## გრიგორი კარასინი მიდის

### მას ალბათ ივან ვოლინკინი შეცვლის



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ასაკის გამო თანამდებობას ტოვებს. გადაწყვეტილია მისი გადასვლა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატაში. ის ფედერაციის საბჭოში სახალინის წარმომადგენელი იქნება.

ეს ინფორმაცია გრიგორი კარასინმა ორიოდე კვირის წინ თავადაც დაადასტურა. მას 23 აგვისტოს 70 წელი უსრულდება და აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობაზე ყოფნის უფლება აღარ აქვს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ის კურირებდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ამავე დროს პრობლემურ მიმართულებას. მას ეხებოდა უკრაინა, ბელორუსი მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი კონფლიქტური ზონების ჩათვლით.

გაზეთი „კომერსანტი" წერს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ფაქტობრივად უკვე შერჩეულია მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე სამი პრეტენდენტი, რომელთაგან წამყვან კანდიდატურად მიიჩნევა საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი ივან ვოლინკინი.

ვოლინკინი მუშაობდა საბჭოთა კავშირის და რუსეთის წარმომადგენლობებში იუგოსლავიაში, აშშ-ში, სერბეთსა და ჩერნოგორიაში, საქართველოსა და მაკედონიაში. იყო მინისტრ ლავროვის თანაშემწე, სამინისტროს გენერალური სამდივნოს დირექტორის მოადგილე. 2013 წლიდან 2018 წლამდე იყო რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთში.

სხვა ორი პრეტენდენტის ვინაობა მედიაში ჯერ არ გამოქვეყნებულა.

## აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი თანამდებობას ტოვებს



აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი დენ ქოუთსი თანამდებობას ტოვებს.

როგორც თავად აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „ტვიტერზე" დაწერა, ქოუთსი აგვისტოს შუა რიცხვებში გადადგება, ამ თანამდებობაზე კი იგი ტეხასელი კონგრესმენის ჯონ რეტკილიფის კანდიდატურის წარდგენას გეგმავს.

როგორც ამერიკული მედია წერს, ტრამპსა და ქოუთსს რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ.

დენ ქოუთსის მოვალეობაში შედიოდა 17 ამერიკული სადაზვერვო სააგენტოს, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ზედამხედველობა.

მიმდინარე წლის იანვარში, დონალდ ტრამპმა დენ ქოუთსს პასიური და გულუბრყვილო უწოდა ირანიდან მომდინარე საფრთხეებთან დაკავშირებით.

## 75 წლის ცოლიანი მასწავლებელი ისევ დაქორწინდა

75 წლის ბრიტანელი სესილ სეიერი დომინიკის რესპუბლიკაში მუშაობის დროს დაქორწინდა, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე ცოლიანი იყო.

სეიერმა თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო სკოლაში, სადაც ის 2006 წელს ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობდა, ქალი კი სამზარეულოს თანამშრომელი იყო. წყვილმა იმავე წლის 20 დეკემბერს იქორწინა, მიუხედავად იმისა, რომ სეიერი ტექნიკურად ჯერ კიდევ არ იყო განქორწინებული. მისი განქორწინების პროცესი აღნიშნული ქორწინებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ დასრულდა.

მამაკაცის ახალი მეუღლე მასზე 29 წლით უმცროსია. მან არ იცოდა, რომ ეს მამაკაცისთვის პირველი ქორწინება არ იყო და მასთან და თავის ორ ბავშვთან ერთად ჩინეთში გადასახლდა. შემდეგ ისინი ვიეტნამში ჩავიდნენ, სადაც მამაკაცმა ინსულტი გადაიტანა, რის შედეგადაც ნაწილობრივ პარალიზებული აღმოჩნდა. ამის გამო ისინი დომინიკში დაბრუნდნენ და იქ მასზე მისი მეორე მეუღლე ზრუნავდა.

ფინანსების გამო სეიერს დიდ ბრიტანეთში დაბრუნება მოუხდა, სადაც შემდეგ ორცოლიანობის გამო ვიზის მიღებაზე პრობლემები შეექმნა. პროკურორის თქმით, მამაკაცს არ სურდა, მისი მეორე ქორწინების ამბავი გამჟღავნებულიყო. საბოლოოდ სეიერის საქმე სასამართლომ განიხილა. მას რვათვიანი პატიმრობა მიესაჯა სასჯელის 12 თვით გადავადებით და ასევე 750 ფუნტი სტერლინგის გადახდაც დაეკისრა სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც ექვსი თვის ვადაში უნდა დაფაროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საბურთალო ხორვატიაში დანაკლისით და ყენიათი ჩავიდა

დედაქალაქური საბურთალო, რომელიც დღეს ზაგრებში ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით შეხვედრაში ადგილობრივ დინამოს დაუპირისპირდება, ხორვატიაში დანაკლისით ჩავიდა.

სხვადასხვა მიზეზის გამო მოახლოებულ მატჩში საბურთალო 4 წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებს. ზაგრებში ვერ გაემგზავრნენ ვაგნერ გონსალვესი და ლაშა შინდაგორიძე, რომლებსაც ტრავმები აწუხებთ. ელვინ ტერას სავიზო პრობლემები აქვს, ხოლო გიორგი კოხრეიძე ყვითელი ბარათების გადაჭარბების გამო დისკვალიფიცირებულია.



საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ზაგრებში 19 ფეხბურთელი ჩაიყვანა:

**მეკარეები:** ომარ მიგინეიშვილი, ლაზარე კუპატაძე, დენის შელიხოვი;

**მცველები:** ნიკოლოზ მალი, გრიგოლ ჩაბრაძე, იური ტაბატაძე, ლუკა ლაკვეხელიანი, გიორგი რეხვიაშვილი, გაგი მარგველაშვილი, გიორგი ჯინჯოლავა;

**ნახევარმცველები:** ლევან კაკუბავა, დაჩი ცნობილაძე, სანდრო ალთუნაშვილი, გეგა დიასამიძე, თორნიკე გორგიაშვილი, ლევან ყენია;

**თავდამსხმელები:** გიორგი გაბედავა, ოგნიენ როლოვიჩი, გიორგი გულიაშვილი.

როგორც ხედავთ, საბურთალოელთა შემადგენლობაშია ლევა ყენია. 28 წლის შემტევი ჭიაბრიშვილის გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. ლევანი ბოლოს ლუქსემბურგის დუდელანჟში თამაშობდა.

შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი თბილისში ხორვატული დინამოს გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. საპასუხო კი, დღეს ცნობილ „მაქსიმირზე" გაიმართება და უმაყურებლოდ ჩატარდება. არადა, „მაქსიმირი" სწორედ მაყურებლების გამოა ცნობილი.

მატჩი თბილისის დროით 22:00 საათზე დაიწყება.

# ძიუდოისტების 2-2 ოქრო და ბრინჯაო ზაგრებიდან

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გამართული გრან პრი ქართველი ძიუდოისტების ტრიუმფით დასრულდა. დასკვნით დღეს ოქროს მედლები ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ.) და გელა ზაალიშვილმა (+100 კგ.) მოიპოვეს, ბრინჯაო კი ლევან მატიაშვილმა (+100 კგ.) მიითვალა. ბოლოსწინა დღეს კი ბრინჯაოს მედალი ტატო გრიგალაშვილს (81 კგ) ხვდა წილად.



ღვინიაშვილი ოქროსაკენ მიმავალ გზას სლოვენიელი ნარსეი ლაჩკოვიჩის დააიპონებით შეუყვა, შემდეგ უზბეკ შახზოდბეკ საბიროვს 3 შიდო აჰკიდა. ბექას მეტოქე მეოთხედფინალში იაპონელი კენტა ნაგასავა იყო, რომელმაც ჭიდაობის დროს ტრავმა მიიღო და ბრძოლა ნაადრევად დაასრულა, ხოლო ნახევარფინალში ჩვენებურმა ვაზარით უნგრელ კრისტიან ტოტს სძლია, ფინალში კი კიდევ ერთი იაპონელი სანშირო მურაო იპონზე დასცა.

მძიმე წონაში ჩინებულად იასპარეზა გელა ზაალიშვილმა, რომელმაც ოქროს მედლამდე ურთულესი გზა მოკლე დროში განვლო. ქართველმა ძიუდოისტმა გრან პრის სასტარტო ორთაბრძოლაში რუსი ანტონ ბრაჩევი 25 წამში დააიპონა, ებრაელ ორი სასონს 3 შიდო მიაღებინა, პოლონელი მაჩიეი სარნაცკის წმინდად ძლევისთვის მხოლოდ 23 წამი დასჭირდა, ნახევარფინალში ჰოლანდიელ როი მეიერს ვაზარი აკმარა, გადამწყვეტ შერკინებაში კი, „ოქროს დროში" იაპონელ ჰისაიოში ჰარასავას იპონით აჯობა.

აღსანიშნავია, რომ ჰარასავამ მეოთხედფინალში მატიაშვილს 3 შიდო აჰკიდა და ოქროსკენ მიმავალი გზა ჩაუკეტა, თორემ არ არის გამორიცხული, ქართული ფინალი გვეხილა. მატიაშვილმა მედალი მაინც აიღო, მაგრამ ბრინჯაო. ჰარასავასთან წაგებამდე ლევანმა დამატებით დროში გაფრთხილებებით აჯობა აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე უშანგი კოკაურს, ტაჯიკი ტემურ რახიმოვი იპონით დაამარცხა. რეპეშაჟში მატიაშვილმა იპონითვე ყაზახ იერასაი კაჟიბაევს სძლია, ხსენებულ მაიერთან კი, ვაზარით მარცხდებოდა, როდესაც ჰოლანდიელს მე-3 შიდო მისცეს.

81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში 19 წლის გრიგალაშვილმა ასპარეზობა მე-2 წრიდან დაიწყო, დაამარცხა მასპინძელი დომინიკ დრუზეტა და ანდრეა რეგიზი, ხოლო მეოთხეფინალში საეიდ მოლაეისთან დამარცხდა. რეპეშაჟში ტატომ ლეანდრო გილეირო დაამარცხა, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში კი შვედ რობინ პასეკს სძლია.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს გრიგალაშვილმა 5 ტურნირზე იასპარეზა და მედლის გარეშე არ დარჩენილა. ზაგრების მსგავსად, თბილისის და ბაქოს გრან პრიზე ტატომ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ასევე, მესამე ადგილს დასჯერდა ნეაპოლში გამართულ მსოფლიოს უნივერსიადაზე, ხოლო ბუდაპეშტში ოქროს მედალი მოიპოვა.

ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მიითვალა და პირველ ადგილზე გავიდა.

# მანჩესტერი და იუვენტუსი გაცვლის მოლოდინში არიან

საგად ქცეული მილანის ინტერის ტრანსფერი, რომელუ ლუკაკუსა და მანჩესტერ იუნატედის შესრულებით, დასასრულს უახლოვდება. თუმცა, ბელგიელს ახალი, გაცილებით მსხვილკალიბრიანი მსურველი გამოუჩნდა და ინტერი, დიდი ალბათობით, მშრალზე დარჩება.



მაურისიო სარის ტურინის იუვენტუსი თავდამსხმელის ძიებაშია. ტურინელთა გუნდს, დიდი ალბათობით, არგენტინელი შემტევი გონსალო იგუაინი დატოვებს, მის შემცვლელად იტალიაში ოლე გუნარ სოლსკიაერის გუნდის ბელგიელი თავდამსხმელი რომელუ ლუკაკუ სახელდება.

იტალიელი ჟურნალისტის ფაბრიციო რომანოს მიერ გავრცელებულ ცნობით, იუვენტუსი გლეიზერების კლუბს ბარტერს სთავაზობს. „ბებერი ქალბატონი" მზად არის მანჩესტერელებს რომელუს სანაცვლოდ პაულო დიბალას კანდიდატურა შესთავაზოს, რომლის ფასიც 100 მილიონი ევროა.

ეს გარიგება ორივე გუნდს აწყობს: იუვენტუსი ეძებს ისეთი ტიპის თავდამსხმელს, როგორიც ლუკაკუა – მაღალი, ათლეტური აგებულების, საჯარიმოში მოტრიალე, ხოლო დიბალა იუნაიტედს უფრო არგებს, რადგან მას ფლანგზეც შეუძლია თამაში და მეორე თავდამსხმელადაც.

იუნაიტედში კარიერის გაგრძელებასთან ახლოს არის ლისაბონის სპორტინგის ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი ბრუნო ფერნანდეში.

ოლე გუნარ სოლსკიაერი პორტუგალიელი ფეხბურთელის მომსახურებით აქტიურად ინტერესდება და ინგლისელები ქმედითი ნაბიჯების გადადგმას იწყებენ.

ბრიტანული მედია წერს, რომ გლეიზერების კლუბმა პორტუგალიელებს ბრუნო ფერნანდეშის სანაცვლოდ გაუმჯობესებული სატრანსფერო თანხა 70 მილიონი ევრო შესთავაზა. ამ ეტაპზე უცნობია ლისაბონური კლუბის პასუხი, თუმცა, გავრცელებული ცნობით, სპორტინგი ფეხბურთელის სანაცვლოდ, სწორედ ზემოხსენებულ თანხას ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ბრუნო ფერნანდეშისთვის კიდევ ერთი ინგლისური გრანდი, ლივერპული იბრძვის.

სანამ იუნაიტედი ამ წინადადების მიღება-შეთავაზებაშია, მანამდე, დიდი ალბათობით, იუნაიტედის მე-3 ტრანსფერი მიმდინარე სატრანსფერო ფანჯარაზე, ლესტერის ცენტრალური მცველი ჰარი მაგუაერი იქნება.

დეილი მეილი აქვეყნებს ინფორმაციას იმ თანხის შესახებ, რომელიც იუნაიტედის აღმასრულებელმა დირექტორმა ედ ვუდვორდმა „მელიების" ცენტრალური მცველისთვის გამოყო. 83 მილიონი ევრო ბონუსების გარეშე – ეს ის თანხაა, რომელიც მაგუაიერის სანაცვლოდ უნდა მიიღოს ლესტერმა.

# ნორჩმა წყალბურთელებმა ევროპის ჩემპიონატზე მეექვსე ადგილი დაიკავეს

სპორტის გულშემატკივრებმა სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ ბულგარეთის ქალაქ ბურგასიდან, სადაც დასრულდა ევროპის 15 წლამდე ჩემპიონატი წყალბურთში. კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულმა საქართველოს ნაკრებმა შესანიშნავად იასპარეზა. გელა ტუკვაძის, ნოდარ ჩხარტიშვილისა და ოთარ ქოიავას გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფში დაამარცხა ჰოლანდია (14:11), ფრედ ითამაშა რუსეთთან (9:9) და დამარცხდა იტალიასთან (8:12). ჩვენი ნაკრები მე-2 ადგილით გავიდა მერვედფინალში, სადაც სლოვაკეთს (12:8) სძლია, მეოთხედფინალში კი, ყველასათვის მოულოდნელად თანაბრად ეთამაშა საბერძნეთის ნაკრებს და მხოლოდ ბოლო მეოთხედში წააგო (10:12).



თუმცა საქართველოს ნაკრებმა გააგრძელა ბრძოლა საბოლოო ადგილებისთვის. 5-8 ადგილებისათვის ნახევარფინალში დიდი ბრძოლა გაუმართეს ხორვატიის ნაკრებს. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 7:7 დასრულდა, მაგრამ პენალტების სერიაში იყოჩაღა მთელი ტურნირის მანძილზე შესანიშნავად მოთამაშე გუნდის მეკარე გიორგი ჩაგელიშვილმა და 2 პენალტი მოიგერია.

მე-5 ადგილისთვის მატჩში დავმარცხდით სერბეთთან, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან სერბებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ. ისინი მეოთხედფინალში ბოლო წუთზე დამარცხდნენ მომავალ ჩემპიონ უნგრელებთან და დარჩენილ 2 მატჩში მეტოქეებზე ჯავრი იყარეს, ჯერ ესპანეთს სძლიეს (12:5), შემდეგ კი არც ჩვენი ნაკრები დაინდეს (12:3).

საქართველოს ნაკრებმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა ეს ჩემპიონატი, ყველას დაანახა, რომ ეს სპორტის სახეობა საქართველოში აშკარად აღმავლობის გზაზეა და ამ შედეგით ისტორია დაწერეს. მათი სახით ნამდვილად დიდი მომავალი ეზრდება ჩვენს ძირითად ნაკრებს

როგორც უკვე გითხარით, ევროპის ჩემპიონი გახდა უნგრეთის ნაკრები, რომელიც ჯგუფიდან, ჩვენი ნაკრების მსგავსად, მე-2 ადგილით გავიდა, რადგან მარცხი განიცადა ჩვენ მიერ ძლეულ ხორვატიასთან (8:9). დარჩენილი 2 მეტოქე კი გაანადგურა - სლოვაკეთი (20:6) და რუმინეთი (13:4), მერვედფინალში რუსეთი დაამარცხა (11:5), მეოთხედფინალში – სერბეთი (12:11), ნახევარფინალში – იტალია (8:6) და ფინალში დამაჯერებლად სძლია ჩერნოგორიას (15:9).

მე-3 ადგილი დაიკავა ჩვენმა თანაჯგუფელმა იტალიამ, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში საბერძნეთი დაამარცხა (9:8).

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ამ ტურნირზე ასეთი იყო:

გიორგი კირიაკიდი, გიორგი ჩაგელიშვილი, ლუკა ჩიქოვანი, გიორგი კოზაშვილი, გურამ გოცირიძე, ალექსანდრე მიქაუტაძე, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, სანდრო ვასაძე, საბა ტყეშელაშვილი, იაკობ ცოტაძე, არჩილ ბაგაშვილი, ბესარიონ ახვლედიანი, დავით გორგოძე, გუგა გელაშვილი.

# შედეგები

## 28 ივლისი

### ფეხბურთი

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-დარმშტადი | 1:1 |
| ვისბადენი-კარლსრუე | 1:2 |
| ფიურტი-აუე | 0:2 |
| რეგენსბურგი-ბოხუმი | 3:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ორენბურგი-ზენიტი | 0:2 |
| არსენალი-როსტოვი | 2:3 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 1:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუგანო-თუნი | 0:0 |
| ლუცერნი-ციურიხი | 0:0 |
| ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 0:1 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ლინცერი-ალტახი | 2:0 |
| მატერსბურგი-ჰარტბერგი | 2:1 |
| შტურმი-სტ.პოლენი | 3:0 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ოსტენდე | 1:2 |
| შარლერუა-გენტი | 1:1 |
| ეუპენი-ანტვერპენი | 1:4 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-ოპავა | 4:1 |
| იაბლონეცი-სლოვაცკო | 6:0 |
| სლავია-სიგმა | 1:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| კორონა-ლეგია | 1:2 |

**ლეგიას მე-2 გოლი ვაკო გვილიამ გაიტანა**

| | |
|---|---|
| გდანსკი-ვისლა | 0:0 |
| შლასკი-პიასტი | 2:1 |

**უკრაინა. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| დინამო-შახტარი | 2:1 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-ზორია 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-რანდერსი 2:2

**რანდერსის ორივე გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

| | |
|---|---|
| ნორდსიელანდი-ესბიერგი | 2:0 |
| ორხუსი-მიდტიულანდი | 0:1 |
| ბრონდბიუ-ოდენსე | 3:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ესტერსუნდი-მალმიო | 0:0 |
| დიურგარდენი-ჰაკენი | 2:0 |
| გიოტებორგი-ნორჩიოპინგი | 0:0 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| მარიეჰამნი-ჰიფკი | 1:3 |
| კვპ-კუუპიო | 2:1 |
| ტოვანიემი-ინტერი | 0:2 |

# 18 წლამდე ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიასთან დამარცხდა

ჯგუფში 2 გამარჯვების შემდეგ, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი მარცხი განიცადა. თემურ კანკიას გუნდს პრინციპული მეტოქე ჰყავდა ჩრდილოეთ მაკედონიის სახით, რომელიც ც ჯგუფში ჩვენი ნაკრების მსგავსად დაუმარცხებელი გახლდათ. ამ მატჩის მომგები გუნდი ჯგუფში ერთპიროვნულად ლიდერდებოდა და ფაქტობრივად ინაღდებდა ფლეი ოფის საგზურს.



სამწუხაროდ, ეს უპირატესობები მაკედონიელებს დარჩათ, რომლებმაც მატჩი მეტი მობილიზებითა და სიზუსტით ჩაატარეს.

ქართველებმა ვერაფერი მოუხერხეს მაკედონელთა უნივერსალ მოთამაშეს – ანდრეი იაკიმოვსკის, რომელმაც 33 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. მან 7-დან 4 სამქულიანი, 6-დან 4 ორიანი და 13-დან 13 საჯარიმო ჩააგდო. ამასთან, ვიქტორ ისაილოსკიმ 5 სამიანი ჩაგვიგდო და ძირითადი მიზეზიც, რატომაც ქართველებმა ეს თამაში წააგეს, შორი სროლები გახლდათ. საქართველოს ნაკრების წევრებმა ძალიან ბევრი თავისუფალი 3-ქულიანი სროლა ააცილეს: 28 ცდიდან მხოლოდ 4 ჩააგდეს, ბალკანელებმა კი 27-დან 10 გაარტყეს მიზანში.

ბოლო მომენტშიც, სწორედ მაკედონიელთა 2-მა სამიანმა გადაწყვიტა უშუალოდ მატჩის ბედი. მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში ფრე – 77:77 იყო, როცა ზემონახსენებმა იაკიმოვსკიმ, შემდეგ კი ისაილოსკიმ მიყოლებით შეტევებში მიითვალეს შორი სროლები და საფინალო სირენამდე 1:16 წუთით ადრე მაკედონია 83:77 დაწინაურდა. ამის შემდეგ ქართველებმა ვითარება ველარ გამოასწორეს და საბოლოოდ 79:87 დამარცხდნენ.

ჩვენს ნაკრებში 20 ქულით ბომბარდირი გახდა ლაშა მიქელაძე, 19 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი მოაგროვა რატი ანდრონიკაშვილმა, ვოვა თავაქარაშვილის ანგარიშზე კი 10 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. 8 ქულითა და 8 მოხსნით გამოირჩა ირაკლი კილაძე.

მაკედონიელები ჯგუფში წაუგებლად გალიდერდნენ, საქართველოს და უკრაინას კი 3-დან 2 მოგება აქვთ. მომდევნო ტურში ერთმანეთს სწორედ საქართველო და უკრაინა შეხვდებიან – გამარჯვებული, ფაქტობრივად, გაინაღდებს ფლეი ოფის საგზურს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## რა უნდა ვიცოდეთ საკვებით მოწამვლის დროს

კვებითი ტოქსიკოინფექციები ანუ სალმონელოზი კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებაა. მიმდინარეობს გასტროენტერიტიტის სინდრომით. ზოგადად მოწამვლას ძირითადად ინფიცირებული ხორცეული საკვების მიღება იწვევს.

სალმონელოზის გამომწვევი ბაქტერიები გავრცელებულია ცხოველებში. მათ ურთიერთ ანტიგენური ნათესაობა აქვთ, გრამუარყოფითები არიან, მოძრაობის უნარი აქვთ, კარგად იზრდებიან ჩვეულებრივ საკვებზე.

სალმონელების ტიპი მისი ზრდის, ბიოქიმიური ნიშნების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება.

ინფიცირებული საკვები, ძირითადად ხორცეული, მოხვდება კუჭში, სადაც იწყება კუჭის წვენის ზემოქმედებით მათი მასობრივი განადგურება, ვითარდება მოშხამვის სურათი. დამტკიცებულია, რომ სალმონელების გარკვეული ნაწილი იხოცება და ორგანიზმი თავისუფლდება. სალმონელების დაშლის შედეგად გამოთავისუფლებული ენდოტოქსინის ნაწილი შეიწოვება კუჭის ლორწოვანაში, დანარჩენი კი წვრილი ნაწლავების საშუალებით შეიწოვება, რის შედეგად ვიღებთ კვებით ინტოქსიკაციას.

სალმონელები პათოგენური ბაქტერიებია, ისინი შეიძლება ორგანიზმში იყვნენ, შესაბამისი გარემოში მოხვედრის შემდეგ „ამოქმედდნენ“ და გამოიწვიონ დაავადება.

კვებითი ტოქსიკოინფექციების ინკუბაციური პერიოდი 6-12 საათს უდრის, შეიძლება ის 3-4 საათი გაგრძელდეს. არის შემთხვევები, როცა 1-3 დღე გრძელდება. კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით სალმონელოზის რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. ყველაზე გახშირებულია ლოკალიზებული ფორმის ტოქსიკოინფექციები. ამ ფორმით 70-75% ავადდება. დაავადება მძაფრად, მაღალი სიცხით იწყება, ახასიათებს გულისრევა, შებერვა, ტკივილი ეპიგასტრიუმის არეში, შემცივნება, ძლიერი ფაღარათი, მადა ეკარგება, ენა შელესილია. ავადმყოფი ფერმკრთალია, შეიძლება სახეზე წამოწითლდეს, გონებას არ კარგავს. დაავადება 1-3 დღემდე გაივლის. ამ დროს არტერიული წნევა დაწეულია.

იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, ბაქტერიებით გამოწვეული ტოქსიკოინფექციები, რომელიც ხშირად მწვავე გასტროენტეროკოლიტში გადადის.

2. გენერალიზებული ფორმა – ძალიან წააგავს მუცლის ტიფს. დაავადებას გასტროენტერიტი ახასიათებს. სიცხე მაღალია, ენა შელესილი, 2-3 დღის შემდეგ იწყება ფაღარათი და იმატებს მუცლის შებერვა, დიდდება ელენთა და ღვიძლი, ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, პულსი შენელებულია. დაავადებას თითქოს თან ერთვის ბრონქიტი და ბრონქოპნევმონია. მწვავე მდგომარეობა შეიძლება 6-12 დღე გაგრძელდეს. ავადმყოფური პროცესი შეიძლება 3-6 კვირამდე გახანგრძლივდეს. ამ დროს იწყება ოფლიანობა, ნერვული სისტემის მოშლილობა, ადინამიით, ბოდვით. არ არის გამორიცხული მენინგოენცეფალიტის ნიშნებიც გამოვლინდეს.

3. სალმონელოზის ბაქტერიომატარებლობა შედარებით მსუბუქი ფორმაა და იგი მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევების შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს.

4. ნოზოპარაზიტული ფორმა სუპერინფექციაა, რომელიც სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს თან ერთვის. ბუნებრივია, მძიმდება ავადმყოფის მდგომარეობაც. სუპერინფექციის დროული გამოვლინება ავადმყოფს ძლიერი გართულებებისგან იცავს.

კვებითი ტოქსიკოინფექციების გამოცნობა ძნელი არ არის. მათთვის დამახასიათებელია მწვავე სიმპტომატიკა. ზოგჯერ არის (ერთი და იგივე საკვებით) ჯგუფური მოწამვლები. შესწავლილი უნდა იქნას საკვები ულუფა, რითაც მოხდა ინფიცირება. კვებითი ტოქსიკოინფექციების დროს არ მიმართავენ ექიმს და ავადმყოფი მკურნალობის გარეშე რჩება. მძიმე ფორმა სასწრაფოდ მოითხოვს გადაუდებელ ჩარევას. დაავადების გამოვლენიდან 6-8 საათის განმავლობაში უნდა მოხდეს კუჭის ამორეცხვა. საჭმელი სოდის ხსნარი, მინერალური ან თუნდაც სასმელი, ოდნავ შემთბარი წყალი ერთ-ერთი საშუალებაა კუჭის შიგთავსისგან გასათავისუფლებლად. ამორეცხვის პროცედურა, ბუნებრივია, უსიამოვნოა, მაგრამ 2-3-ჯერ მაინც უნდა გავიმეოროთ, კუჭის საბოლოო გათავისუფლებამდე. ექიმის ჩარევა აუცილებელია. თუ ვერ ახერხებთ ექიმთან მისვლას, გამწვავების თავიდან ასაცილებლად მიიღეთ შემდეგი სახის ხსნარი: 1 ლიტრ ადუღებულ და გაციებულ წყალში გახსენით 1 სუფრის კოვზი მარილი, 1 სუფრის კოვზი შაქარი და 2 სუფრის კოვზი სოდა, სრული გახსნის შემდეგ დაამატეთ ლიმონმჟავა, უმნიშვნელო რაოდენობით. შეგიძლიათ აღნიშნული ხსნარი რამდენიმე ლიტრიც მიიღოთ, არ გავნებთ, ორგანიზმის გაწმენდაში მოგეხმარებათ.

## ბაიერნი სანეს ელოდება



ბოლო დროს მიუნხენის ბაიერნის შეფებს ფეხბურთელები იმის გამო უტევენ, რომ ტოპ-ტრანსფერებს არ ახორციელებთო. ასეც არის – ბავარიული კლუბის შეფებისთვის გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელების შეძენა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე – ვარსკვლავის. და მაინც, ბაიერნმა თვალი მანჩესტერ სიტის შემტევ ლეროი სანეს დაადგა თვალი.

მიუნხენელთა თავკაცი ნიკო კოვაჩი სანეს შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარს აკეთებს. ახალგაზრდა სპეციალისტის განცხადებით, ბავარიული გრანდის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს ხსენებული გარიგების განსახორციელებლად და იმედს იტოვებს, რომ ზანე სულ მალე „რეკორდმაისტერის“ ფორმას მოირგებს.

**ნიკო კოვაჩი:**

– ჩვენმა ხელმძღვანელობამ სანეს დაუფიქსირა საკუთარი დამოკიდებულება. სრულად ვართ ამ ტრანსფერზე კონცენტრირებულები, ლეროიმ იცის, თუ რა ელოდება მას აქ. როდესაც ასეთი დონის ფეხბურთელი ბაიერნში მოდის, მან ზუსტად იცის საკუთარი სამუშაოს შესახებ. როგორც ხედავთ, ეს მარტივი გარიგება არ არის. თუმცა, ისიც ვიცი, რომ კლუბი აქტიურად მუშაობს ამ ტრანსფერის განსახორციელებლად. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სანე მოვიპოვოთ. ლეროი ჩვენი ოცნების ფეხბურთელია – ეს ყველამ იცის.

სანეს მიმართ მიუნხენური გრანდის ინტერესზე არაერთი სიახლე დაწერილა. დასახელებულია კონკრეტული სატრანსფერო თანხაც 100 მილიონი ევროს ოდენობით. შედგება თუ არა ხსენებული გარიგება, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ახლა ცოტა რამ წამსვლელებზე: მატს ჰუმელსის შემდეგ, იმის შანსი, რომ მიუნხენური კლუბი ჟერომ ბოატენგმაც დატოვოს, დიდია. მართალია, ბოატენგთან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაში კიდევ 2 წელს იქნება, მაგრამ ბაიერნი მშვიდად ადევნებს თვალს სატრანსფერო ბაზარზე არსებულ მოვლენათა ქრონიკას. ბოატენგს შეუძლია დატოვოს ბაიერნი, მაგრამ ასევე შეუძლია რომ დარჩეს. რა პარალელის გავლება შეიძლება ჰუმელსა და ბოატენგს შორის?

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომაც დატოვა მიუნხენი მატს ჰუმელსმა, იყო ის, რომ მთავარი მწვრთნელი აპირებს ახალ სეზონში ფსონი ნიკლას ზიულეზე, ლუკას ერნანდესა და ბენჟამენ პავარზე გააკეთოს. ჰუმელსმა დაინახა, რომ მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაში არა თუ გარანტირებული, არამედ ძალიან საეჭვოა და სათადარიგოთა სკამზე ჯდომას დორტმუნდში დაბრუნება არჩია. ეს ეხება ჟერომ ბოატენგსაც. აქედან გამომდინარე სწორედ ჟერომმა უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება წასვლა-დარჩენასთან დაკავშირებით.

**ნიკო კოვაჩი:**

– მოცემულ მომენტში დარწმუნებულები ვართ, რომ ჟერომი ბაიერნში დარჩება. ამ ფაქტით მოხარული ვიქნები. მას მიეცემა ზუსტად იმდენივე შესაძლებლობა, რამდენიც სხვა ფეხბურთელებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## მავნე ჩვევამ მამაკაცს კინაღამ მილიონი დოლარი დააკარგვინა



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო, თუმცა მოგების შესახებ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შეიტყო.

ამერიკელმა ლატარიის ბილეთი სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ბენეტსვილში ყოფნის დროს შეიძინა. ეს ბილეთი მამაკაცს თვეზე მეტხანს სასადილო მაგიდაზე ედო, სანამ გათამაშების შედეგების ნახვას გადაწყვეტდა.

– ერთი მავნე ჩვევა მაქვს, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა, – ყოველთვის ვაყოვნებ გათამაშების შედეგების ნახვას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კულინარიული კუთხე

### მწვადი აფხაზურად

კარგად გარეცხილი მსუქანი ცხვრის ხორცი, ღვიძლი, ელენთა და დუმა დავჭრათ პატარ-პატარა ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი, წამოვაგოთ შამფურზე და შევწვათ. სუფრაზე მიტანისას მწვადს მოვაყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ბროწეულის, ან კოწახურის მარცვლები.

### ხახვიანი ერბო-კვერცხი

**მასალად საჭიროა:** კვერცხი – 2 ცალი; ხახვი – 2 თავი; ერბო – 2 სუფრის კოვზი; მწვანილი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი მოვშუშოთ ცხიმში, კარგად ავთქვიფოთ კვერცხი, დავამატოთ წვრილად დაჭრილი მწვანილი (ოხრახუში, კამა, ქინძი), დავასხათ მოშუშულ ხახვს და შევწვათ, გადმოდგმისას მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი იგივე მწვანილი.

### კარტოფილი ნიგვზით და მცენარეული ზეთით

**მასალად საჭიროა:** კარტოფილი – 500 გრამი; ხახვი – 2 თავი; მცენარეული ზეთი – 1-1,5 სუფრის კოვზი; ქინძის თესლი – 1 ჩაის კოვზი; ხმელი სუნელი – 2 ჩაის კოვზი; ღვინის ძმარი – 2 სუფრის კოვზი; ნიორი – 1 კბილი; პილპილი, ოხრახუშის ფოთოლი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კარტოფილი მოვხარშოთ და კარგად დავსრისოთ. წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშუშოთ მცენარეულ ზეთში. დასრესილ კარტოფილს დავუმატოთ მოშუშული ხახვი, დანაყილი ქინძის თესლი, ნიორი, ხმელი სუნელი, პილპილი, ღვინის ძმარი, მარილი და ავურიოთ. მიღებული მასალა მოვათავსოთ თეფშზე, შევუსწოროთ ზედაპირი, მოვასხათ მცენარეული ზეთი და მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში.

### კივის ტორტი

**ბისკვიტისთვის მასალად საჭიროა:** კვერცხი – 4 ცალი; შაქარი – 4 სუფრის კოვზი; 1 მწიკვი მარილი. ფქვილი – 60 გრამი.

**კრემისთვის:** რძე – 350 მილილიტრი; სახამებელი – 30 გრამი; შაქარი – 65 გრამი; კარაქი – 75 გრამი; 30%-იანი ნაღები – 200 მილილიტრი; ვანილი – 1 პაკეტი; ჟელატინი – 20 გრამი.

**მოსართავად:** თეთრი შოკოლადი – 50 გრამი; კივი – 1-2 ცალი.

მომზადების წესი: კვერცხის ცილა და გული ერთმანეთისგან გავაცალკევოთ. გულები ავთქვიფოთ, შევურიოთ 2 სუფრის კოვზი შაქარი და გავაკეთოთ გოგლიმოგლი. ცილა ვთქვიფოთ გამკვრივებამდე. ჩავამატოთ მწიკვი მარილი და დარჩენილი შაქარი. შევათქვიფოთ გოგლიმოგლი. მერე კი ძალიან ნელა ავურიოთ ფქვილი.

ტორტის ფორმას მოვუსვათ კარაქი, მოვაყაროთ ფქვილი და ზედ ცომი მოვათავსოთ. შევდგათ 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში და 35 წუთის განმავლობაში გამოვაცხოთ.

ტაფას თხელ ფენად მოვაყაროთ ფქვილი და მასზე ამობრუნებული დავდგათ ბისკვიტიანი ფორმა. გავაჩეროთ 10 წუთი, შემდეგ ბისკვიტი ამოვიღოთ და 2 ფენად გავჭრათ. დავალბოთ ჟელატინი წყალში და 30 წუთით დავტოვოთ. რძე დავდგათ ნელ ცეცხლზე, დავამატოთ შაქარი, სახამებელი 3-4 კოვზ რძეში გავხსნათ, ფრთხილად შევურიოთ მდუღარე რძეს და კარგად ვურიოთ. კარაქი ავთქვიფოთ გათეთრებამდე, დავამატოთ გაციებული რძიანი მასა და ვანილი.

ჟელატინი გავადნოთ წყლის ორთქლზე, შევურიოთ კრემს და კარგად ამოვურიოთ. მასვე დავამატოთ ათქვეფილი ნაღები. ხილის ლამაზ ლარნაკში მოვათავსოთ ბისკვიტის პირველი ფენა, შემდეგ წავუსვათ კრემის ნახევარი. დავაფაროთ მეორე ფენა, ზემოდან დანარჩენი კრემი მოვუსვათ და 2-3 საათით შევდგათ მაცივარში.

გამოვიღოთ ტორტი მაცივრიდან და მოვრთოთ გახეხილი თეთრი შოკოლადითა და კანგაცლილი კივის რგოლებით.

## ასტროპროგნოზი

### 30 ივლისისთვის



**ვერძი** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 2. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 3. უბანი თბილისში; 4. ნიჩბოსანთა სპორტული ნავის მოძრავი სკამი; 5. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი კომპოზიტორი; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 16. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 17. რბილი ფერადი ფანქრები ხატვისთვის; 19. მდინარე კიევში; 20. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი.

**თარაზულად:** 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. ხის, ახლად ამოსული ნორჩი ტოტი; 10. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. სავაჭრო სახლი, სასტუმრო ძველად; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 21. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 22. ხურდა ფული აშშ-ში; 23. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 24. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ზამთარი; 6. ვარიანტი; 7. ბანდა; 10. ბანკი; 11. ავაზა; 13. ზევსი; 14. ვარდი; 16. ნონა; 17. იაგუნდი; 18. „მერანი“.

**შვეულად:** 1. ზუბი; 2. ილი; 3. კარნავალი; 4. გნომა; 5. ვიგვამი; 8. ნივა; 9. დარვინი; 10. ბარიტონი; 12. სტენდი; 13. ზვარი; 15. რანდა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ალმასი; 2. რაცია; 3. ია; 4. სტივ; 5. იტიკავა; 6. კაკაბი; 7. პედიატრი; 8. დეკა; 9. სისირი; 10. ლია; 11. გამბიტი; 12. კირი; 13. პოლ; 14. მაგნოლია; 15. ქსი; 16. აპლომბი; 17. ანტი; 18. მიკადო; 19. საბაოთი; 20. პასტორი; 21. სია; 22. ჟესტიკულაცია; 23. სიბილა; 24. აიოვა; 25. პილიგრიმი; 26. ანსამბლი; 27. კრამიტი; 28. ევრო; 29. ნო; 30. ეტოო; 31. პიანინო.

**სურათებზე:** ვიქტორია პუჩინი; ჯეკ უილშირი.

# გიორგი სუხიტაშვილს ფულს სთხოვენ



მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს ფულს სთხოვენ, ეს მომენტი მის ცხოვრებაში ისე ხშირია, რომ ხელოვანი ამ ფაქტმა უკვე დაღალა:

– ბევრი ფული არ მაქვს, და დავუშვათ და მაქვს, მაინც არ გავასესხებ, არა!

მესმის, რომ ბავშვი გყავთ გასაყვანი ქალაქიდან; მესმის, რომ ბანკის ვალი გაქვთ; მესმის, რომ მეგობრები მიდიან დასასვენებლად და თქვენ ვერა; მესმის, რომ გგონიათ ფული მაქვს.

ჩემი ძმისშვილებიც ქალაქში არიან.

ვალი იმდენი მაქვს, ოჰოჰოჰოი.

მეც მინდა დასვენება და გუგუნი.

უმთავრესი პუნქტი. არა მაქ, არა!

გავმეორდები, რომ მქონდეს, არ გავცემ!

# მაგდა ვასაძემ გია ყანჩელის „საით მიდიხარ“ ახლებურად ჩაწერა



მომღერალმა მაგდა ვასაძემ ცნობილი კომპოზიტორის გია ყანჩელის ცნობილი სიმღერა „საით მიდიხარ“ ახლებური ვერსიით ჩაწერა და მასზე ვიდეოკლიპიც გადაიღო.

მაგდამ თავისი ახალი ნამუშევარი მეგობრებს და უახლოეს ადამიანებს წარუდგინა. კლიპის პრეზენტაციას ცნობილი ადამიანები ესწრებოდნენ. თემო საჯაიამ, ვერიკო ტურაშვილმა, სალომე ბაკურაძემ, მარიკა თხელიძემ, კახა კუხიანიძემ, გიორგი პაპკიაურმა და სხვა მომღერლებმა კოლეგის ნამუშევარი დადებითად შეაფასეს და განაცხადეს, რომ გია ყანჩელის შემოქმედება უკვე კლასიკაა და მის ახლებურ ვერსიაზე მუშაობას განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება.

თავად მაგდა ვასაძემ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გია ყანჩელის „საით მიდიხარ“ მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი სიმღერაა და ამიტომ ამ ნამუშევარს ყველაზე დიდი სიფრთხილე და უდიდესი ყურადღება დასჭირდა.

# რამაზ იოსელიანს ბათუმში მოლას ხმამაღალი ლოცვა აღიზიანებს



მსახიობ რამაზ იოსელიანს ბათუმში მოლას ხმამაღალი ლოცვა აღიზიანებს:

– მე რომ ბათუმში იმ ადგილას ვცხოვრობდე, სადაც მოლა ხმამაღლა მღერის და ლოცულობს, ასიანს მამაო ჩვენოს და საგალობლებს ჩავურთავდი გამაძლიერებელი ხმით.

პ.ს. მანდ არავინ ხართ ისეთი, რომ სამშობლო გიყვარდეთ?

# ფილმი „შინდისი“ ოსკარზე წარსადგენად იბრძოლებს

დიტო ცინცაძის მიერ გადაღებული ფილმი „შინდისი“ საქართველოს სახელით ოსკარზე წარსადგენად იბრძოლებს.

ინფორმაცია ფილმის პროდიუსერმა ედმონდ აბაშიძე-მინაშვილმა გაავრცელა:




– სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“. 2008 წლის ცივი აგვისტო. გმირები, რომლებმაც ისტორია ერთ დღეში დაწერეს. საქართველოს უახლესი ისტორია, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო შემოქმედებით ჯგუფს, დიდი მადლობა ყველა მონაწილე მსახიობს. შემოქმედებითი ჯგუფის სახელით, დიდი მადლობა ყველას, ვინც ფილმის შექმნაში მცირედი წვლილი მაინც შეიტანა.

30-31 ივლისს ფილმი მონაწილეობას იღებს კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს, ოსკარის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში წარსადგენად...

8 აგვისტოს შემოქმედებითი ჯგუფის პრესკონფერენცია და ფილმის ოფიციალური ტრეილერის პრეზენტაციაა. 27 სექტემბრიდან კი ფილმი კინოთეატრებში გამოვა. განსაკუთრებული მადლობა გარდაცვლილი გმირების ოჯახის წევრებს და სოფელ შინდისის მოსახლეობას.

# „მასტერშეფის“ გამარჯვებული ია ძაგანია გახდა

საქართველოს პირველი არხის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოუს, „მასტერშეფის“ პირველი სეზონის გამარჯვებული ია ძაგანია გახდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, „მასტერშეფის“ გამარჯვებულის ტიტულისთვის 10 კონკურსანტი იბრძოდა: გიორგი ჯაჭვლიანი, ნინო ბარათაშვილი, მაკა კვიციანი, ვლადიმერ სოკოლოვი, თათია თექთურმანიძე, სოფო ხალვაში, გიორგი მანჯავიძე, თინა ვაშაკიძე, ია ძაგანია და ნათია ჯიქიძე.

სამკაციანმა ჟიურიმ შეფების ლევან კობიაშვილის, ლუკა ნაჭყებიას და კონსტანტინე თედელურის შემადგენლობით რჩეულები წინსაფრის 28 მფლობელი კონკურსანტიდან შეარჩია. ათეულიდან კი ფინალში დარჩნენ ია ძაგანია, თინა ვაშაკიძე და გიორგი მანჯავიძე, იგივე მანჯი. საუკეთესო სამეულიდან კი პროექტი ია ძაგანიამ მოიგო.

ფინალისტებმა სხვადასხვა კომპანიებისგან სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. რაც შეეხება გამარჯვებულს, მას საქართველოს პირველი მასტერშეფის ტიტულთან ერთად გადაეცა ბინა დასრულებული რემონტით, სამზარეულოს ავეჯითა და ჩაშენებული ტექნიკით ახალ საცხოვრებელ უბანში საბურთალოზე. საქართველოს პირველი მასტერშეფი იცხოვრებს სახლში, რომელიც ბინაზე მეტია.



„მასტერშეფი“ მსოფლიოში პოპულარული, რეიტინგული, ერთ-ერთი საუკეთესო გასართობი და შემოქმედებითი შოუა. ის ყველაზე ცეცხლოვანი, დინამიკური კულინარიული გადაცემაა და აშშ-ში პოპულარული პროგრამების რეიტინგებში ყოველთვის საპატიო ადგილს იკავებს. მაყურებელი ამ შოუს არც ერთ სეზონს არ ღალატობს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მზარეულები „მასტერშეფის“ ტიტულისთვის არა მხოლოდ იმ პრიზის გამო იბრძვიან, რაც ფინალურ ტურში ელით, არამედ სახელისა და დიდებისთვისაც, რასაც გამარჯვება მოუტანთ. ავსტრალიასა და აშშ-ში არსებობს მაგალითები, როცა გამარჯვებულებმა ბრწყინვალე კარიერა აიწყეს და საკუთარი რესტორნებიც გახსნეს, რომელიც სტუმრების ნაკლებობას არასდროს განიცდის.

„მასტერშეფი“ უმაღლეს სტანდარტს ითხოვს, რომელიც მოყვარულმა მზარეულმაც კი უნდა დააკმაყოფილოს, შესაბამისად, კონკურსის მიმდინარეობისას მონაწილე დღითიდღე ვითარდება, ახალ უნარებს იძენს და საკუთარ თავში კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს აღმოაჩენს. „მასტერშეფი“ კი სწორედ ის გახდება, ვინც ყველა დაბრკოლებას გადალახავს, გაუძლებს ყველაზე კომპეტენტური ჟიურის კრიტიკას, მოამზადებს ვიზუალურად მიმზიდველ, გემრიელ კერძებს და, საბოლოო ჯამში, აღიარებენ, როგორც პროფესიონალ მზარეულს.

ამიტომაც „მასტერშეფმა“ პირველი სეზონის დასრულებისთანავე, მეორე სეზონისთვის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.

# რა არის „სახელისუფლებო ძალაუფლების ანატომია“

სასიამოვნო და იმავდროულად საჭირო სიახლე ელის ქართველ მკითხველს. გამოიცა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, თამაზ აქუბარდიას ნაშრომი, – სასიამოვნო და იმავდროულად საჭირო სიახლე ელის ქართველ მკითხველს. გამოიცა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის, თამაზ აქუბარდიას ნაშრომი, – „სახელისუფლებო ძალაუფლების ანატომია.“ იგი ეძღვნება სახელისუფლო ძალაუფლების მწვერვალებისკენ დაუოკებელი სურვილის მქონე პიროვნებების, ძალაუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ მოვლენებს. ნაშრომი ოთხი ნაწილისაგან შედგება და თითოეული ნაწილი ცალკე წიგნად არის წარმოდგენილი. პირველი ნაწილი ეხება დიდი იტალიელის, ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველის საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური ტრაქტატის, – „მსჯელობანი“ შინაარსის გაცნობა-ანალიზს, ხოლო დანარჩენი სამი ნაწილი ეძღვნება იმავე ავტორის, ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი ნაშრომის, – „მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ,“ შეთავაზებას, რომლის ქართული თარგმანი დღეისათვის, სამწუხაროდ, აქამდე არ გაგვაჩნდა და რომელიც, თავისი მნიშვნელობით არანაკლებია, თუ უფრო მეტი არა, პირველზე. ნაშრომი, პირველ რიგში, გამიზნულია იმ ახალგაზრდებისადმი, რომელთაც სახელისუფლო ძალაუფლების მოპოვების საკრალური სურვილი ამოძრავებთ. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვართ, იგი ასევე საინტერესო იქნება ყველა იმ მკითხველისათვის, ვინც სახელისუფლო ძალაუფლების კულუარული ლაბირინთების დამკვირვებლის როლში ყოფნას არჩევს. იგი ეძღვნება სახელისუფლო ძალაუფლების მწვერვალებისკენ დაუოკებელი სურვილის მქონე პიროვნებების, ძალაუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ მოვლენებს.

ნაშრომი, პირველ რიგში, გამიზნულია იმ ახალგაზრდებისადმი, რომელთაც სახელისუფლო ძალაუფლების მოპოვების საკრალური სურვილი ამოძრავებთ. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვართ, იგი ასევე საინტერესო იქნება ყველა იმ მკითხველისათვის, ვინც სახელისუფლო ძალაუფლების კულუარული ლაბირინთების დამკვირვებლის როლში ყოფნას არჩევს.

# ქრისტინე მარტიაშვილი შემოსავლების სამსახურს: „თქვენ ხართ კანონიერი ქურდები, მძარცველები და არაადამიანები!“

მომღერალი ქრისტინე მარტიაშვილი შემოსავლების სამსახურს ქურდებს, მძარცველებს და არაადამიანებს უწოდებს:

– 2 წლის წინ დავიწყე პატარა ბიზნესი, ბიჟუტერია ჩამოვიტანე ჩინეთიდან. მოკლედ, გადავიხადე მილიონი რამ, ტრანსპორტირება, განბაჟება, რაღაც, რაღაც. მოკლედ, რომ მეგონა ცოტა ფულს ვიშოვიდი, პირიქით აღმოჩნდა.

ნუ, არც არაფერი დავკარგე იმ მომენტში, მაგრამ ბევრი ვერაფერი შემოსავალი იყო, ამიტომ თავი დავანებე და სხვა გზებზე დავიწყე ფიქრი. კონკრეტულ თანხებზე არ დავიწყებ საუბარს, მოკლედ აღმოჩნდა, რომ გამომრჩა დღგ-ს გადახდა, რომელიც თურმე 5 დღის ვადაში უნდა გადამეხადა, ეს ცალკე ჩემი დაუდევრობაა, კარგი. სამწუხარო ის არის, რომ ეს ყველაფერი აღმოვაჩინე ახლა, როდესაც ჩემი მანქანა ოფიციალურად გავყიდე და სხვის სახელზე ვაპირებდი გადაფორმებას, სიურპრიზი დამხვდა! მანქანა აღმოჩნდა დაყადაღებული, ანუ ამ დღგ-ს გადაუხდელობის გამო ამ 2 წლის განმავლობაში ჯარიმა მერიცხებოდა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ასი ათასჯერ დამერიცხა თანხა და მარტივად შეიძლებოდა ჩემი ანგარიშის დაყადაღება და მარტივად გავიგებდი, მაგრამ არა! ამ ახვრებმა მანქანა დააყადაღეს,



იმიტომ, რომ ესე აწყობდათ!

შეგიძლიათ იმ მომენტში წარმოიდგინოთ ჩემი მდგომარეობა?! მყიდველთან ერთად რომ ველოდები რიგს და უცებ მეუბნებიან, რომ მანქანა დაყადაღებულია და ვერაფერს ვიზამ, სანამ ამ 2 წლის განმავლობაში დაგროვილ თანხას არ გადავიხდი. ჩამოვედი თბილისში, მივედი შემოსავლების სამსახურში, მეუბნებიან, რომ შემიძლია გასაჩივრება, მაგრამ ყველაფერი დროში იწელება! მინიმუმ 1 თვე, ხოდა, რა მინდოდა მეთქვა, შემოსავლების სამსახური – თქვენ ხართ კანონიერი ქურდები, მძარცველები და არაადამიანები!

ხო, კიდევ ერთი გოგო ვიცი, რომლის 5 ლარიანი ავტობუსის ჯარიმა 1200ლარზე ავიდა! ძალიან მარტივი იქნებოდა 1 თვის, ან 2, ან თუნდაც 3 თვის ვადაში რომ ფოსტა მოსულიყო ჩემს მისამართზე, მაგრამ თქვენ ხართ საკუთარი ერის მტერი! ვინც გამომიხტებით, რომ იიი შენი დაუდევრობის ბრალიაო, ჩემი პირველი ბიზნესი იყო და ამდენი ცხრაათასყველა პროცედურაზე თუ მომიწევდა ასობით ლარის ხარჯვა, საერთოდ არ დავიწყებდი არაფერს და თუ მე რამე გამომრჩა, კარგი, მაგრამ სახელმწიფოს ჯარიმების გაზრდა არ გამორჩა, რაც მთავარია გაუფრთხილებლად! 2 წელი! 2 თვე არა, 2 წელი!

ხოდა კიდევ, ქოცებო, გილოცავთ, ერთადერთი უნარი რაც გაქვთ, ხალხის გალატაკებაა! აი, კახელი კაცივით გაგინებდით, მაგრამ დედაჩემს ძაან ვაწყენინებ, შეგიძლიათ გამოიცნოთ რასაც ვამბობ და ვფიქრობ თქვენზე! გული მერევა დღევანდელ საქართველოზე!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ქალს ფეხმძიმობა კენჭის გავლა ეგონა



ინგლისის გლოსტერშირის საგრაფოს ჩელტნემის მცხოვრებს ფეხმძიმედ ყოფნა თირკმლებში კენჭები ეგონა და თავისთვის მოულოდნელად იმშობიარა.

მრავალშვილიანმა დედამ, სეფრონ სნოუმ, გაიხსენა, თუ როგორ იგრძნო 2017 წლის სექტემბერში მწვავე ტკივილი მუცლისა და ზურგის არეში და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. ის დარწმუნებული იყო, რომ თირკმლებში კენჭები ჰქონდა.

– როდესაც პარამედიკოსები მოვიდნენ, მათ მკითხეს, ფეხმძიმედ ხომ არ ვიყავი, – იხსენებს ქალი, – მე ავუხსენი, რომ უკვე წელიწად-ნახევარია, რაც სპირალი მქონდა ჩადგმული.

მედდამ სეფრონი გამოიკვლია და ყველას გასაკვირად დაადგინა, რომ ქალი სინამდვილეში ფეხმძიმობის ბოლო თვეში იმყოფებოდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც უპრობლემოდ იმშობიარა და გააჩინა ბიჭი, რომელსაც არტური დაარქვა.

ქალის მტკიცებით, ბოლო თვეებში რამდენიმეჯერ გაიარა ექიმთან თირკმლების გამოკვლევა და ფეხმძიმობა არ გამოვლენილა.

# ბრიტანელმა მეუღლე შინაური ცხოველების სასაფლაოზე დაასაფლავა




ბრიტანელების ოჯახმა უელსში შინაური ცხოველების სასაფლაოზე ნაკვეთი შეიძინა, რათა იქ არა მხოლოდ შინაური ცხოველები, არამედ ადამიანებიც დაასაფლავონ.

მიმდინარე წლის მარტში გეტინ და ჰილარი ჰიუზებს ძაღლი, სახელად პეტსი მოუკვდათ. პირველად სწორედ მაშინ იმყოფებოდნენ ფლინტშირში მდებარე შინაური ცხოველების სასაფლაოზე.

– მეუღლემ მაშინვე თქვა, რომ თავადაც აქ პეტსის გვერდით დასაფლავება სურდა, როგორც კი გაიგო, რომ ეს შესაძლებელი იყო, – განაცხადა 79 წლის მამაკაცმა, – მისთვის ამის გადაფიქრება არც კი მიცდია. ერთ დღეს კი მას მეც შევუერთდები.

მათ დაუყოვნებლივ შეიძინეს ადგილი, სადაც ორი შინაური ცხოველისა და სამი ადამიანის დასაფლავებისთვის საკმარისი ფართობია. ჰილარი საყვარელი ცხოველის სიკვდილიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. ორივეს საფლავს ძაღლის ქანდაკებიანი საფლავის ქვა ამშვენებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.9321

ევრო — 3.2637

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6446

100 რუსული რუბლი — 4.6456

## ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი







19 ივლისიდან

რევაზ მიშველაძე

ციყვი ბორბალში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## მეგან მარკლი ვოგის რედაქტორი გახდა



სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლი ჟურნალ ვოგის 103 წლის ისტორიაში პირველი მიწვეული რედაქტორი გახდა. ამის თაობაზე ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოცემის ბრიტანული ვერსიის მთავარმა რედაქტორმა ედვარდ ენინფულმა დაწერა.

მან განათავსა თავისი გამოცემის სექტემბრის ნომრის გარეკანის ფოტოსურათი, რომლის შექმნაში მეგან მარკლიც მონაწილეობდა. მასზე 15 გოგონას ფოტოსურათია, რომელთაც „სამყარო შეცვალეს“. ნომრის ყველა გმირი თავად ჰერცოგინიამ შეარჩია. ქალების ფოტოსურათების გარდა, გარეკანზე სარკის სახით მე-16 სლოტიცაა. მეგან მარკლის იდეით მან უნდა აჩვენოს, რომ ნომრის ყოველი მკითხველიც თავისებურად ცვლის სამყაროს უკეთესობისკენ.

ფოტოსურათისთვის დართულ კომენტარში ენინფულმა დაწერა, რომ ის და ჰერცოგინია ამ ნომერზე ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მუშაობდნენ. დიდ ბრიტანეთში გაყიდვაში ახალი ნომერი 2 აგვისტოს გამოვა.

## საკრუიზო ლაინერზე მასობრივი ჩხუბი მოხდა



საკრუიზო ხომალდ „ბრიტანიაზე“, რომელიც საუთჰემპტონიდან ნორვეგიის ქალაქ ბერგენსა და უკან მიემართებოდა, მასობრივ ჩხუბს ჰქონდა ადგილი.

კონფლიქტი იმ დროს მოხდა, როდესაც ლაინერი უკან ინგლისში ბრუნდებოდა. თვითმხილველთა თქმით, ჩხუბი რესტორანში მას შემდეგ ატყდა, როდესაც მასხარას ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი პატრიოტულ წვეულებაზე შეიჭრა, რომელშიც ყველა იქ მყოფი მამაკაცი სმოკინგში, ხოლო ქალები საღამოს კაბებში იყვნენ გამოწყობილები.

თუმცა ხომალდის მფლობელი კომპანიის პრესსამსახურმა დააზუსტა, რომ არეულობის მიზეზი მასხარას ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი არ გამხდარა.

ჩხუბის დროს მხარეებმა იარაღად იქ არსებული ჭურჭელი და ავეჯი გამოიყენეს. შედეგად ექვსი ადამიანი დაშავდა. რამდენიმე ადამიანს ძლიერი სისხლდენა დაეწყო.

ჩხუბის წამომწყები ორი პიროვნება 43 წლის მამაკაცი და 41 წლის ქალი კაიუტებში ჩაკეტეს, ხომალდი საუთჰემპტონის ნავსადგურში შევიდა და ისინი პოლიციას გადასცეს. მათ თავდასხმის ბრალდება წარედგინათ. ამჟამად საქმის გამოძიება მიმდინარეობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

გაცოფებული ქმარი ცოლს უყვირის:

– აღიარე, მღალატობ, ხო?!

– სად მცალია მაგისთვის? დილით სამსახურში, სამსახურიდან მაღაზიაში, შემდეგ სირბილით სახლში, ყველანი უნდა დაგაპუროთ. როდისღა?!

– ეგ ხომ სულ ორი წუთის საქმეა!

– ეგ შენთანაა ორი წუთის საქმე!

●●●

ბავშვმა ოთახში შეირბინა და დედას ეუბნება:

– დედიკო, მამიკო შუა სასტუმრო ოთახში იატაკზე წევს, ხელში ქაღალდი უჭირავს, გვერდით კი რაღაც ამანათი დევს...

– როგორც იქნა!!! ჩემ მიერ შეკვეთილი ქურქი მოიტანეს!

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარს მაგიდაზე ტორტი დახვდა 20 სანთლით. გაკვირვებული, ცოლს ეკითხება:

– დღეს ვინმეს დაბადების დღეა?

– ჩემი პალტოსი. დღეს 20 წელი შეუსრულდა!

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– მეგობარი მამაკაცი გყავთ?

– არა!

– როგორ, ასეთ ლამაზ ქალს მეგობარი მამაკაცი არ გყავთ?

– ქმარი არ მაძლევს მაგის უფლებას.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– რა საშინელებაა, 61 კილოგრამს ვიწონი!!!

– და რამდენი იყავი?

– დედა მეუბნებოდა, 3,400 ვიყავი...

●●●

სამი მამაკაცი ზის და სვამს. ერთი ამბობს:

– ჩემ კატას პენოპლასტს ვეძახი. რამდენჯერ ვცადე წყალში დახრჩობა, არაფრით იძირება.

– ჩემსას ბუმერანგს ვეძახი, – ამბობს მეორე, – სად არ წავიყვანე და დავტოვე, მაინც ყოველთვის უკან ბრუნდება.

– ჩემსას კი ჯორდანო ბრუნო დავარქვი, – ამბობს მესამე.

– რა სადისტი ხარ?! – შესძახეს ერთხმად დანარჩენებმა.

– არა, რას ამბობთ, უბრალოდ, ვარსკვლავების ყურება უყვარს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709


## ბეილის ჩინეთში ტრანსფერი ჩაიშალა



მადრიდის რეალის უელსელი ვინგერი გარეტ ბეილი ჩინურ გუნდში გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ბოლო მომენტში გაურკვეველი მიზეზების გამო ეს ტრანსფერი ჩაიშალა. სავარაუდოდ, მას რეალში დარჩენა მოუწევს, მიუხედავად იმისა, რომ ზიდანმა ბეილს წასვლისკენ მოუწოდა.

უელსელი ფორვარდის შეძენა მანჩესტერ იუნაიტედსაც სურს, მაგრამ ბეილს თავის მაღალ ხელფასზე უარის თქმა არ უნდა, ამიტომ შესაძლოა ბეილი რეალში დარჩეს და, როგორც თვითონ თქვა, ფეხბურთის მაგივრად გოლფი ითამაშოს.

## ინტერს ედისონ კავანის ყიდვა სურს



მილანის ინტერი კვლავ ეძებს ფორვარდს, რადგან ჯერჯერობით მათ რომელუ ლუკაკუს ყიდვა ვერ მოახერხეს. გარდა ამისა, ინტერი სავარაუდოდ თავის არგენტინელ ფორვარდს მაურო იკარდის გაყიდის, რადგან ხელმძღვანელობას მასთან კონფლიქტი აქვს.

ინტერის ახალი სამიზნე პსჟ-ს თავდამსხმელი ედისონ კავანია, რომელშიც მილანელები მზად არიან 50 მილიონი გადაიხადონ. კავანის ასევე სურს იტალიაში დაბრუნება და მან ერთ-ერთ ინტერვიუში ამაზე ისაუბრა კიდეც.

პსჟ კავანიში მინიმუმ 70 მილიონს ითხოვს და წინააღმდეგ შემთხვევაში მის გაყიდვას არ აპირებს.

## იურგენ კლოპი: „ამხანაგურ თამაშებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ“



ლივერპულის მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ამხანაგურ შეხვედრაში მარცხი არაფერს ნიშნავს და ეს მატჩები მომზადებისთვის არის საჭირო.

ლივერპულმა ბოლო ამხანაგური შეხვედრა ნაპოლისთან 0:3 წააგო.

– ეს მატჩი კარგად არ ჩავატარეთ, მაგრამ ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ ვართ და წამყვანი ფეხბურთელებიც გვაკლია. დარწმუნებული ვარ, მალე სულ სხვა ლივერპულს ვიხილავთ. ზოგადად ამხანაგურ შეხვედრებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, – განაცხადა კლოპმა.

## მალკომი შესაძლოა არსენალში გადავიდეს



ბარსელონას ბრაზილიელი შემტევი მალკომი, სავარაუდოდ, ზაფხულში გუნდს დატოვებს, რადგან გრიზმანის გადმოსვლის შემდეგ მას ისევ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა. მისი შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს, მათ შორის არის არსენალიც, რომელიც შეტევის გაძლიერებას აპირებს.

მალკომის შეძენით ასევე დაინტერესებულია ევერტონიც.

ჯერჯერობით თვითონ ფეხბურთელს თავის მომავალზე კომენტარი არ გაუკეთებია და არსებობს ვარიანტი, რომ ის საფრანგეთში დაბრუნდეს, სადაც ბარსელონამდე თამაშობდა.

## სადიო მანემ საკუთარ სოფელში სკოლა ააშენა

ლივერპულის სენეგალელმა ფორვარდმა სადიო მანემ საკუთარ სოფელში ბამბალიში სკოლა ააშენა და სექტემბრიდან ეს სკოლა ჩვეულებრივად დაიწყებს მუშაობას. მანეს ეს პროექტი 270 ათასი ევრო დაუჯდა. მანე ხშირად ეწევა ქველმოქმედებას და გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარება. ამის გამო ბამბალიში ის ნამდვილ გმირად ითვლება და უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მოსახლეობის საერთო-სახალხო გამოკითხვა; 2. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 3. საქრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. ხარის, კამეჩის ტყავისგან დამზადებული ღვინის, წყლის საზიდი ძველებური ჭურჭელი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

**თარაზულად:** 1. სხვადასხვა ოპერების მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი იტალიური ოპერა; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 11. ბოსტნეული მცენარე; 12. ბალეტ „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 14. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 15. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 16. პოეტური ქმნილება; 19. პოემა „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟი; 20. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**